პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 217 (19958) კვირა, 20 სექტემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

70

სარედაქციო ფოსტას ყოველდღიურად მოაქვს რესპუბლიკის მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის მუშაკთა საოქტომბრო-საიუბილეო

შრომითი პატაკები

კასპის წარმოება „საქცეოლითის“ კოლექტივმა ჯერ კიდევ შარშან მოუწოდა რაიონის სამრეწველო ორგანიზაციებს გაეშალათ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. თავად კოლექტივმა კი ხუთწლედის ორი წლის დავალების 1987 წლის 7 ნოემბრისათვის შესრულება იკისრა.

და აი, გეგმით გათვალისწინებული 1960 ათასის ნაცვლად უკვე რეალიზებულია 2.010 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც ნიშნავს, რომ ვალდებულება თვე-ნახევრით ადრეა შესრულებული.

წლის ბოლომდე ცეოლითის მომპოვებლები დამატებით კიდევ 800 ათასი მანეთის პროდუქციას მიაწვდიან მომხმარებელს.

მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის კოლმეურნეობის მეცხოველეებმაც გვიპატაკეს წლიური გეგმის შესრულება. მათ რძის წარმოების დავალება 115 პროცენტით შეუსრულებიათ და ხორციც გეგმით გათვალისწინებულზე 270 ცენტნერით მეტი უწარმოებიათ.

თელავის რაიონის სოფელ ბუშეტის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმის საიჯარო ბრიგადამ, რომელსაც ელიზბარ გიორგანაშვილი ხელმძღვანელობს, ასევე პირნათლად გაანაღდა რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის 2 წლის დავალება. გეგმით გათვალისწინებული 1.060 ცენტნერის ნაცვლად 1.084 ცენტნერი რძეა მოწველილი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი □ მოვლენა □ კომენტარი

ფიქრები მხატვრის ახალ ტილოსთან

რევოლუციას აქვს დასაწყისი, რევოლუციას არ აქვს დასასრული!

რა ზედმიწევნით ესადაგება ღრმა აზრით განმსჭვალული ეს გამოთქმა ჩვენი სულიერი თუ მატერიალური ყოფის ყველა სფეროში მიმდინარე დიად ცვლილებებს, რომლებსაც ზუსტად გამოხატავს სიტყვა — გარდაქმნა.

ჩვენი ფიქრები ახლა სულ უფრო ხშირად უბრუნდება დაუვიწყარ დღეებს, რომლებმაც „შეძრა მსოფლიო“. და ეს არა მარტო იმის გამო, რომ უკვე თითქმის კარს მოგვადგა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი. განა ჩვენი ცხოვრების ყოველი სადაგი დღე არ გვაგრძნობინებს, რომ ყოველი ჩვენგანი განახლების მძლავრი, აღმავალი პროცესის აქტიური მონაწილეა! გარდამნის ჯარისკაცები რევოლუციის ჯარისკაცთა უშუალო მემკვიდრენი და შთამომავლები არიან.

და ჩვენ, ახალი ეპოქის ღვიძლ შვილებს, როგორც უწმინდესი მოანატრება, მოგვეძალება სურვილი კიდევ და კიდევ შევაჩეროთ მზერა უზენაესი საკაცობრიო იდეალებით შთაგონებულ იმათ სახეებზე, ვისაც ჩაუქრობ სინათლედ ადგას რევოლუციის ცეცხლში გამოტარებული ალისფერი დროშის ათინათი.

„რევოლუციის ქარიშხალი“ უწოდა საქართველოს სახალხო მხატვარმა **კოკი მახარაძემ** თავის ახალ ტილოს, რომლის ფერთა დრამატულობა და ექსპრესიულობა, გრიგალისებრი რიტმით აღსავსე კომპოზიცია უჩვეულო მღელვარებას განაცდევინებს მხილველს.

ფერმწერის ნახელავში, რომელიც საქართველოს სხვა მხატვრების ნამუშევრებთან ერთად ახლა თბილისში, მხატვრის სახლში გახსნილ შესანიშნავ საიუბილეო გამოფენაზეა წარმოდგენილი, ყოველი ჩვენგანის სანუკვარი აზრი განცხადდა.

ძნელია იხილო ეს შემოქმედება და არ გაგახსენდეს:

„მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...

დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!“

რევოლუცია გრძელდება, რევოლუცია ახალი მწვერვალების დასალაშქრად მოგვიწოდებს!

მოვლენის წინ

რესპუბლიკის საოქტომბრო დათვალიერება

24 სექტემბერს მოსკოვში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, დაიწყება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღეები, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს, — თქვა ჯ. ა. ჩხეიძემ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ. — საბჭოთა საქართველოს დღეებზე მონაწილეობას მიიღებს 300-ზე მეტი კაცი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული და სამეურნეო მუშაკები. რესპუბლიკის შემოქმედებითი პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივების წარმომადგენლები.

საქართველოს წარგზავნილები შეხვდებიან ქალაქ მოსკოვის ბაბუშკინისა და ძერჟინსკის რაიონების აქტივს, რომლებთანაც მთ მრავალი წლის მჭიდრო მეგობრობა, შრომითი შეჯიბრება აკავშირებთ, ეწვევიან მთელ რიგ საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებს, შუზეუმებს, გაეცნობიან ახალმშენებლობებს, ღირსშესანიშნავ და ისტორიულ ადგილებს, შეეხვდებით მოსკოვში მცხოვრებ თანამემამულეთ.

ხუთი დღის მანძილზე იმუშავებს საქართველოს საიუბილეო გამოფენა. რესპუბლიკის ბევრმა შრომითმა კოლექტივმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამოგზავნა ასობით ექსპონატი, რომლებიც განასახიერებს საქართველოს მიღწევებს.

გამოიცა ლამაზად გაფორმებული ბუკლეტები, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სპეციალური ნომერი.

გამოფენაზე მოეწყობა მრავალი სხვა ღონისძიება: პრესკონფერენციები, ექსკურსიები, კონსულტაციები, მოსკოველი მშრომელები შეხვდებიან წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, ხალხურ ხელმარჯვე ოსტატებს — ლითონმჭედაკებლებს, მეთუნეებს, მეხალიჩეებს, მქარგავებს. ნაჩვენები იქნება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ შექმნილი მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმები. იმუშავებენ საინფორმაციო ცენტრები.

გამოფენის ღია მოედნებზე, დედაქალაქის სხვა ადგილებში რესპუბლიკის სახაგრომრეწვი მოწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის — ქართული მიწის ნობათის, ყვავილების, საკონდიტრო ნაწარმის, სურნელოვანი ჩაის, სუვენირების გაყიდვას.

მოსკოვში საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო დათვალიერება ჩვენი ცხოვრების ღირსსახსოვარი მოვლენაა და, უეჭველია, იგი მაღალ დონეზე გაიმართება.

ზამთარი კარს მოგვადგა

დავაჩქაროთ კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის აღებისა და შესყიდვის ტემპი

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გვატყობინებს, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს კარტოფილისა და ხილბოსტნეულის დამზადება. 14 სექტემბრისათვის დამზადებულია 69,6 ათასი ტონა კარტოფილი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 36 პროცენტს და გასული წლის შესაბამისი პერიოდის 78 პროცენტს. ბოსტნეული დამზადებულია 206,9 ათასი ტონა, წლიური გეგმის 52 პროცენტი და გასული წლის შესაბამისი პერიოდის 91 პროცენტი; ხილი — 76,7 ათასი ტონა (შესაბამისად 17 და 54 პროცენტი).

სასაყვედურო არაფერი აქვთ რიგი რაიონების მშრომელებს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ბოსტნეულის დამზადება აბაშის, ახმეტის, ყვარლის, ლანჩხუთის, მახარაძის, თერჯოლის და წულუკიძის რაიონების მეურნეობებში, ხილისა— გურჯაანის, ყვარლის, თეთრი წყაროსა და წალენჯიხის რაიონების მეურნეობებში.

მაგრამ ასეთმა მონდომებამ მაინც ვერ უზრუნველყო წარმატება მთელს რესპუბლიკაში. ბევრმა რაიონმა დაგვაღალატა.

ბოლნისის და მარნეულის რაიონების მეურნეობებმა ვერ უზრუნველყვეს სახელმწიფოსათვის საადრეო კარტოფილის მიყიდვის გეგმის შესრულება.

განსაკუთრებით ნელი ტემპით ამზადებენ ბოსტნეულს ახალციხის, ადიგენის, გორის, ხაშურის, ლაგოდეხის, ჩოხატაურის, მცხეთის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობები, ხილს — მახარაძის, მარნეულის, ბოლნისის, მცხეთის, სამტრედიის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის რაიონებისა და ქალაქ წყალტუბოს, ტყიბულის ზონის მეურნეობები.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სუსტად იყენებენ საგეგმო მოცულობის 30 პროცენტის ანგარიშით საოლმეურნეო ბაზრებში კარტოფილისა და ხილბოსტნეულის გაყიდვის შესაძლებლობებს. რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა საოლმეურნეო ბაზრებში 7 სექტემბრისათვის გაყიდეს მხოლოდ 240 ტონა კარტოფილი, ანუ დამზადების საერთო მოცულობის 0,4 პროცენტი, 1800 ტონა ბოსტნეული, ანუ 1 პროცენტი, ხოლო ხილი საერთოდ არ გაუყიდიათ.

მეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვა საოლმეურნეო ბაზრებში ხელს უწყობს მათი ფასების შემცირებას, რომლებიც რესპუბლიკაში კვლავ დიდია; მაგალითად, აგვისტოში რესპუბლიკის საოლმეურნეო ბაზრებში საშუალო ფასები შეადგენდა: კილოგრამი კარტოფილი — 0,97 მანეთი, ახალი კიტრი — 2,23 მანეთი, პამიდორი — 1,32 მანეთი, ნიორი — 2,93 მანეთი, ხახვი — 1,10 მანეთი, ვაშლი — 1,85 მანეთი, ატამი — 3,28 მანეთი და ა. შ.

საქინფორმის 7 სექტემბრის ცნობით, საზოგადოებრივ ფონდში კარტოფილის მიწოდების გეგმა შესრულებულია 90,4 პროცენტით და შეადგენს 45,3 ათას ტონას, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,1 ათასი ტონით ნაკლებია, ბოსტნეული მიწოდებულია 30 ათასი ტონა, რაც შეადგენს წლიური გეგმის 69,4 პროცენტს და 2 ათასი ტონით ნაკლებია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საზოგადოებრივ ფონდში ხილის, განსაკუთრებით კურკოვანი ხილის მიწოდება. სულ მიწოდებულია 9 ათასი ტონა, ანუ წლიური გეგმის 6,7 პროცენტი.

საზოგადოებრივ ფონდში საადრეო კარტოფილის გაგზავნის გეგმა ვერ შესრულეს ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მეურნეობებმა.

საერთო-საკავშირო ფონდში ბოსტნეულის მიწოდების გეგმა უკვე შესრულეს აბაშის, თერჯოლის, წულუკიძის და სხვა რაიონების მეურნეობებმა.

მახარაძის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, თერჯოლის, ხაშურის რაიონების, ქალაქების ტყიბულისა და ჭიათურის ზონების მეურნეობებს საერთო-საკავშირო ფონდში ამ დროისათვის კურკოვანი ხილი არ გაუგზავნიათ.

წლის დამლევამდე არც ისე ბევრი დრო დარჩენილი. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დარიანი დღეები, რომ ავანაზღაუროთ გაცდენილი, აღმოვფხვრათ ჩამორჩენა, რომელიც მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია წლის დამდეგს სტიქიური მოვლენებით, სოფლის მეურნეობის კულტურების ნაგვიანევი ვეგეტაციით.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი იწყება

მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი დღე, ყოველი საათი

ჩოხატაურის რაიონის ახალგაზრდა მეჩაიეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა ერკეთის კოლმეურნეობის მეჩაიემ თამარ ბერიძემ. იგი ამ ბოლო წლებში დაოსტატდა, ისე შეითვისა მოწინავეთა გამოცდილების ხერხები და მეთოდები, რომ ახლა სახელგანთქმულ ოსტატებსაც ტოლს არ უდებს. აი შედეგიც: წელს უკვე 5 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული მოკრიფა. წლიური დავალება კი 3.600 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ეს გამონაკლისი როდია. თამარ ბერიძისნაირ ბრიგადა მეჩაიეთა წყალობით ბევრმა რაიონმა ნაკისრი ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულა. **მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა იყოჩაღეს. ვალდებულებით ნაკისრი 105.952 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და გადამუშავებელმა მრეწველობამ გადაამუშავა 106.065 ტონა ჩაის ფოთოლი.**

გამარჯვებულთა შორის არიან წალენჯიხისა და ლანჩხუთის რაიონები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის საგეგმო დავალება. **წალენჯიხელებმა 35.600 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 35.624 ტონა ფოთოლი, ხოლო ლანჩხუთელებმა — 26.801 ტონის ნაცვლად 27.032 ტონა.**

წლიური საგეგმო **დავალება ვადაზე ადრე შეასრულეს ვანის, ხელვაჩაურის, გუდაუთის, ჩოხატაურის, ხობის, ჭედის, ზესტაფონისა და სოხუმის რაიონის მეჩაიეებმა და ახლა ვალდებულების გადამეტებით კრეფენ ჩაის ფოთოლს.**

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული ცნობებით **18 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში ხეზონის დაწყებიდან სულ მოიკრიფა და ჩაის მრეწველობას ჩაბარდა 552.159 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შარშანდელთან შედარებით 132.279 ტონით მეტი. საიუბილეო წლის გეგმა-დავალება შესრულებულია 96,8 პროცენტით. მოკრეფილი ფოთლის 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა.**

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე განხილეს ჩაის წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი. როგორც თათბირზე აღინიშნა, რაოდენობასთან ერთად ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესება სადღეისო მოთხოვნაა. თათბირის მიერ აღძრული მეჩაიეობის მტკივნეული საკითხები რესპუბლიკის მშრომელებმა გულთან მიიტანეს. — დავუბრუნოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება! — ამბობენ მეჩაიეები.

ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი დღეებია. ახლა მთავარია სეზონის ბოლომდე დარჩენილი ყოველი დღე, ყოველი საათი მაქსიმალურად გამოვიყენოთ, საიუბილეო წელი კარგი შრომითი მაჩვენებლებით დავამთავროთ, ფაბრიკებს გადასამუშავებლად გავუგზავნოთ მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი!

„კომუნისტის“ სოფლის მეურნეობის განყოფილება.

ჯანმრთელობა თითოეული ადამიანის სიკეთე და ბედნიერებაა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პაპიაშვილის სიტყვა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1987 წლის 16 სექტემბერს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი პარტიული-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობა დასასრულს უახლოვდება. ეფიქრობ, რომ დღეს კარგი დასაბამი მიეცა რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნას ამ ამოცანებიდან გამომდინარე, რომლებიც ამ საკითხზე განსახილველ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტით.

ახლავე მინდა, მთელი ჩვენი აქტივის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო დიდად პატივცემულ ევგენი ივანეს ძე ჩაზოვს საინტერესო, შინაარსიანი მოხსენებისათვის, რომელშიც მკაფიოდ არის მონიშნული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მიმართულებანი და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის გზები ჩვენს რესპუბლიკასთან მისადაგებით.

კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ამ სულისკვეთებით, ამ ტონალობით მიმდინარეობდა დღეს ისეთი საჭირბოროტო საკითხის განხილვა, როგორიც ადამიანი და ჯანმრთელობაა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოხსენების კრიტიკულ მიმართულებას, იმ მომთხოვნელობასა და მომკითხველობას, კამათის ბევრი მონაწილის გამოსვლაში რომ გაისმა, რადგან ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მხოლოდ კრიტიკული და თვითკრიტიკული მიდგომით შეგვიძლია აღმოვფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებები, ზოგჯერ კი შეცდომები, ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენთან ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში.

დღეს ამსოლუტური რწმენით შეგვეძლია ვთქვათ, რომ ყველა ის ნაკლი, რომლებიც აღნიშნულია „ძირითად მიმართულებათა“ პროექტში, სამედიცინო დაწესებულების მუშაობისადმი კონტროლის შესუსტება, მომთხოვნელობის შენელება, დაავადებათა დიაგნოსტიკასა და პროფილაქტიკაში უხეში შეცდომები, ბავშვთა დიდი სიკვდილიანობა, ყოველივე ეს მთლიანად ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც, ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობას.

ჩვენში, სამწუხაროდ, გავრცელდა ისეთი მოვლენები, როგორიც არის უსულგულობა, უხეშობა, ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა, პროფესიული მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

შემთხვევითი ხომ არ არის, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას კითხვაზე: „საქალაქო თუ რაიონული ცხოვრების რა პრობლემები გაღელვებთ ყველაზე მეტად?“ — 38,3 პროცენტმა სამედიცინო მომსახურება დასახელა.

სამედიცინო მომსახურების სფეროში ნეგატიურ მოვლენათა შორის ბევრი აღნიშნავს მექრთამეობის, გამოძალვის, შეწირის ფაქტებსაც. 1985 წელს გამოკითხულთა 62,6 პროცენტმა გულადილად განაცხადა, რომ მათ ფული გადაიხადეს სამედიცინო მომსახურებისა და მოვლისათვის. წელს ეს ციფრი 18,7 პროცენტამდე შემცირდა (გულახდილად რომ ვთქვათ, მისი უტყუარობა საეჭვოა). მიუხედავად ამისა, გამოკითხულთაგან ბევრს მიაჩნია, რომ ფულადი გასამრჯელოს გაუღებლად ავადმყოფებს საჭირო ყურადღებას არ აქცევენ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განვიხილეთ ბევრი საკითხი, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობას, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

ეს არის რეპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მუშაკების სამედიცინო მომსახურების სრულყოფისა და მათ შორის დაავადებათა პროფილაქტიკის ღონისძიებებიც. ეს არის სამენო-განეკოლოგიური და პედიატრიული სამსახურის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებიც. ეს არის ბავშვთა კურორტებისა და ბავშვთა დასასვენებელი ზონების შემდგომი განვითარების ღონისძიებებიც.

უმკაცრესი შეფასება უნდა მიეცეს შარშან თებერვალში მოსახლეობის მასობრივი მოწმეთა ფაქტებს. სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა ინფექციური დაავადებებთან ბრძოლის ორგანიზაციაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მუშაობაში, იმპორტული სამედიცინო ტექნიკის გამოყენებაში და ა. შ.

შეგვიძლია განვაგრძოთ ეს ნუსხა და განვაგრძოთ იგი იმ გადაწყვეტილებებით, რომლებიც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, სხვა რესპუბლიკურმა და საქალაქო პარტიულმა თუ საბჭოთა ორგანოებმაც მიიღეს.

ჩვენ ძალზე გვაშფოთებს ის, თუ როგორ სრულდება მიღებული გადაწყვეტილებები, როგორ ხორციელდება ისინი პრაქტიკულად. ეს კი მთავარია ყველა საქმეში.

საკითხის ანალიზი და შესწავლა ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილება და დადგენილება ბევრია, საქმე კი ჯანმრთელობის დაცვაში ნელა სწორდება.

წელწადზე მეტი გავიდა, სამეანო-გინეკოლოგიური სამსახურის მუშაობა კი არ სწორდება, მნიშვნელოვანი ძვრები არ მომხდარა დედათა და ბავშვთა სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაში.

ძნელია აღუშფოთებლად ილაპარაკო იმაზე, რაც თბილისის ერთ-ერთ ბავშვთა საავადმყოფოში მოხდა: ჩვილებს ერთმანეთისაგან გადაედოთ ინფექციური ჰეპატიტი, რასაც ტრაგიკული შედეგი მოჰყვა. უხეში დარღვევები და უმსგავსი ფაქტები გამოვლინდა ამას წინათ გალის რაიონის სამშობიარო სახლის მუშაობაში.

კვლავაც ბუნებრივად სერიოზული ნაკლოვანებებია ხულოს, შუახევის რაიონული საავადმყოფოების სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობაში. მდგომარეობა არ უმჯობესდება ქობულეთის რაიონშიც. ისევე როგორც წინათ, აქ პრაქტიკულად არ მტკიცდება სამკურნალო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ყველა ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო საჭირო გახდა თანამდებობიდან გაგვეთავისუფლებინა ხულოსა და ქობულეთის რაიონების მთავარი ექიმები, აჭარის ასს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, სხვა ხელმძღვანელები.

ნელა სწორდება სამედიცინო მომსახურებისა და დაავადებათა პროფილაქტიკის საქმე სამრეწველო საწარმოებში, კერძოდ, ზესტაფონის ფეროშენაღნობთა ქარხანაში, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, თბილისის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, ფეხსაცმლის გაერთიანება „ისანში“, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, საწარმოო გაერთიანება „აზოტში“, თბილისის ელშავალსაშენებელ ქარხანაში და ა. შ. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ შრომის ინვალიდების 40 პროცენტზე მეტი ახალგაზრდები არიან.

მიღებული გადაწყვეტილებების მიუხედავად, ისევ ირღვევა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, რის გამოც ხშირად ჩნდება ინფექციური დაავადებანი. სერიოზული გადახრებია მთელ რიგ საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში სანებიერეყიმის დაცვაში.

ჩვენ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ცალკეული დავალებების შესრულებაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ შესრულების კარგად მოგვარებული კონტროლი ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

მიღებულ გადაწყვეტილებებს, დასახულ გეგმებს, შემუშავებულ ღონისძიებებს უნდა ვასრულებდეთ, ბოლომდე უნდა მიგვყავდეს ისინი. ეს გახლავთ საქმის არსი. ამას გულისხმობს შესრულების შემოწმება. საამისოდ კი საჭიროა თანამდებობის პირთა მომკითხველობის, პასუხისმგებლობის, საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი, თანამოსაქმე კოლეგებისა და ამხანაგებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერება.

დიდ იმედს ვამყარებდით რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შარშან აპრილში გამართული იმ კოლეგიის გადაწყვეტილებებზე, რომლის მუშაობაში მეც მომიხდა მონაწილეობის მიღება. მაშინ ბევრი კარგი სწორი სიტყვა ითქვა და სასარგებლო ღონისძიებები დაისახა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ქაღალდზე დარჩა.

დიდმნიშვნელოვანი პრობლემები წამოიჭრა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზეც. ითქვა, რომ არ არის უზრუნველყოფილი სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის საჭირო დონე, განსაკუთრებით სოფლად, რომ მოსახლეობის სამედიცინო დახმარება თვისებრივ გაუმჯობესებას მოითხოვს, რომ ცუდად არის დაყენებული ამბულატორიული მომსახურება, ჩამორჩება დიაგნოსტიკის მეთოდები, საყვედურს იმსახურებს კლინიკური პროფილის მთელი რიგი სამედიცინო დაწესებულებების, ინსტიტუტებისა და კათედრების საქმიანობა. ბევრია ფორმალიზმი კადრების ატესტაციაში. აღინიშნა, რომ ეს ნაკლოვანებანი საბოლოო ანგარიშით ექიმებისადმი უნდობლობას იწვევს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიეთითა, რომ იგი ჯეროვნად არ ებრძვის სხვადასხვა დარღვევებს, მისი აპარატი აყოვნებს მუშაობის გარდაქმნას. ყველა საფუძველი იყო იმის სათქმელად, რომ აქ შეურიგდნენ ბევრ ობასსურველ პროცესს და, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ უფასო სამედიცინო მომსახურება რესპუბლიკაში ხშირად ფასიანი ხდება.

მე შემთხვევით არ გამიმეორებია თითქმის ყველაფერი, რაც პარტიის ყრილობაზე ითქვა. მას შემდეგ წელიწად-ნახევარზე მეტი ხანი გავიდა. მაგრამ რა შეიცვალა? არსებითად, არაფერი. შესაბამისი ცვლილებები ჯანმრთელობის დაცვაში, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში არ ხდება. და ეს ძალიან გვაშფოთებს.

ყველაფერი, რაც პარტიის ყრილობაზე ითქვა, ახლაც სრული საფუძველი გვაქვს გავიმეოროთ. მაშასადამე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს არც ამჟერად გამოუტანია სათანადო დასკვნები მისი მისამართით გამოთქმული სერიოზული კრიტიკიდან, ეს კრიტიკა მისთვის საჭირო გაკვეთილი არ გამხდარა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის მთელი მუშაობის კოორდინატორი, ნამდვილი სამეცნიერო და პრაქტიკული ცენტრი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო უნდა გახდეს. ჩვენ ესეც არაერთხელ გვითქვამს. ამიტომ გარდაქმნა ჯანმრთელობის დაცვის დარგში უნდა დავიწყოთ თვით სამინისტროთი, მისი აპარატით.

გარდაქმნა ხანგრძლივი პროლეტიკაა. ახალ მიჯნებზე საბჭოთა საზოგადოების გაყვანის ამოცანას ხელის ერთი დაკვრით ვერ გადავწყვეტთ. ეს განსაკუთრებული ძალით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა და ეს მთლიანად ეხება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გარდაქმნასაც.

მაგრამ იგივე ივნისის პლენუმზე ხაზგასმით ითქვა სხვა რამეც: მსჯელობა იმაზე, რომ „გარდაქმნა მოიცდის“, მაგნ და საშიშია, რომ უკვე დღეს, გარდაქმნის საწყის ეტაპზე უნდა მივაღწიოთ ხელშესახებ, პრაქტიკულ შედეგებს მუშაობის ყოველ უბანზე, ამას უნდა მიაღწიოს თითოეულმა ჩვენგანმა თავისი საქმიანობის სფეროში.

გასაგებია, რომ გარდაქმნის მრავალი მიზნის მიღწევა მოითხოვს გარკვეულ ვადას, მაგრამ არის შედარებით მარტივი და გადაუდებელი ამოცანები, რომლებიც სწორედ დღეს, სწორედ ახლა უნდა გადაწყდეს. ასეთი პირველი რიგის ამოცანების, გადაუდებელი საქმეების რიცხვს განეკუთვნება, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ჯანმრთელობა თითოეული ადამიანის სიკეთე და ბედნიერებაა

(დასასრული)

სამწუხაროდ, იმის თქმის ყველა საფუძველი გვაქვს, რომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა გარდაქმნა უაღრესად ნელა მიმდინარეობს, რაც უფლებას გვაძლევს სერიოზული პრეტენზიები წავუყენოთ სამინისტროს ხელმძღვანელობას.

ვიმედოვნებთ, რომ მინისტრი ამხ. ი. ა. მენაღარიშვილი, მისი მოადგილეები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით პასიურად მუშაობენ, სამინისტროს კოლეგიის წევრები, მათგანაც ველით თქმა აქტიურობას, გაითვალისწინებენ ყველა კრიტიკულ შენიშვნას და შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ.

დღეს კრებაზე გამოითქვა ბევრი მნიშვნელოვანი შენიშვნა, საქმიანი წინადადება, საინტერესო მოსაზრება.

ამხანაგების მიერ გამოთქმული ყველა შენიშვნა, წინადადება, რეკომენდაცია, საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ, გავაანალიზოთ, განვაზოგადოთ და გავითვალისწინოთ „ჯანმრთელობის“ პროგრამის საბოლოო დამუშავებისას.

შემდეგ ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა თქვა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მთავარი ამოცანაა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესება.

სწორედ აქ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები. სწორედ ამის გამო კლებულობს ექიმებისადმი ნდობა, რაზეც დასაწყისში ვილაპარაკეთ, სწორედ ამის მიზეზია, რომ ყოველწლიურად რესპუბლიკის ესოდენ ბევრი მცხოვრები მიეშურება მოსკოვისა და ქვეყნის სხვა ქალაქების კლინიკებში შესაბამისი მიმართვის უქონლად. მათმა რიცხვმა ათი ათასს გადააჭარბა, და ეს ციფრი, სამწუხაროდ, კვლავ მატულობს. ამ პრობლემას, არსებითად, არ აკონტროლებენ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები.

მიზეზი ის კი არ არის, რომ ჩვენში საკმაოდ არა გვაქვს განვითარებული მედიცინა ეს ესა თუ ის დარგი. მთავარია სხვა რამ—ის, რომ ზოგიერთმა მედიკოსმა დათმო უწინდელი პოზიციები. ჩვენ ოფთალმოლოგთა არცთუ ურიგო სკოლა გვქონდა, და მიუნედავად ამისა, ახლა ბევრი ცდილობს დედაქალაქის სპეციალისტებს მიმართოს. ასეთივე სურათია ონკოლოგიის, ნეიროქირურგიის, ორთოპედიის სფეროში, სხვა დარგებში. უწინდელი პოზიციების დათმობა, პრესტიჟის დაკარგვა უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ საკმარისად არ ინერგება მკურნალობისა და დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები.

იმ საკითხთა შორის, რომლებიც მიღებული დადგენილებებისა და ორგანიზაციული ღონისძიებების მიუხედავად არ გადაწყვეტილა ან ნელა წყდება, დავასახელებ სამეანო-გინეკოლოგიური და პედიატრიული სამსახურის მდგომარეობას. ეს საკითხი ახლაც მწვავედ დგას, რადგან ჩვენში დიდია ბავშვთა სიკვდილიანობა, ამისთვის კი პასუხისმგებლობა ეკისრება უმთავრესად ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკურ სისტემას. შეუწყნარებელია ის, რომ ჩვენში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შარშან უფრო დიდი იყო, ვიდრე წინა წელს, და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ამავე მაჩვენებლებს, თბილისში კი მეტი იყო, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში.

არადამაკმაყოფილებელია სამაგვარ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მდგომარეობა. არსებული მონაცემებით, სამაგვარ და სამშობიარო დაწესებულებათა 23 პროცენტი დასანგრევია, 40 პროცენტს სასწრაფო კაპიტალური რემონტი სჭირდება. ხშირად მათ არა აქვთ ელემენტარული პირობები, განსაკუთრებით ყაზბეგის, ამბროლაურის, თიანეთის, წალკის, ხაშურის, გარდაბნის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ლენტეხისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ბავშვებისათვის, მათი აღზრდის, სწავლების, კვების, დასვენებისათვის ზრუნვა ჩვენი უპირველესი პრობლემაა.

განა დასაშვებია, რომ ახლანდელ სასწავლო წელს რესპუბლიკის 500 სკოლას არა აქვს სასადილოები და ბუფეტები? ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აჭარის ასს რესპუბლიკის, გორის, სოხუმის, ადიგენის, გალის, გარდაბნის, ლაგოდეხის, მახარაძის რაიონების მთელი რიგი სკოლების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

სკოლაში ბავშვთა კვების ორგანიზაციას მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ განათლების ორგანოები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები აღმასკომები.

სათანადოდ არ ზრუნავენ ჩვენში ბავშვების დასვენების ორგანიზაციისათვის. წელს ცუდად მოემზადნენ ზაფხულისათვის პიონერთა ბანაკები, მრავალი მათგანის სანიტარიული მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა ელემენტარულ მოთხოვნებს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სპეციალიზებულ სახეობათა სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია და განვითარება, უწინარეს ყოვლისა ნარკომანიის, ამ აღარესად საშიში სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეტად შემაშფოთებელია, რომ 1986 წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის 22 პროცენტით გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ნარკოტიკებს ხმარობენ ან აღრიცხვაზე არიან შინაგან საქმეთა ორგანოებში. მეტად დამაფიქრებელია, რომ უკვე აყვანილია აღრიცხვაზე სამი ათას ხუთასამდე ნარკოტიკების მომხმარებელი და ჩამოყალიბებული ნარკომანი, რომელთა 55 პროცენტზე მეტი 24 წლამდეა ასაკის ახალგაზრდები არიან.

კვლავ ფართოვდება ნარკომანიის გეოგრაფიაც, რომელიც პრაქტიკულად საქართველოს ყველა რეგიონში გავრცელდა. ნარკოტიკებმა შეაღწია საშუალო სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე უმაღლეს სასწავლებლებზე. ამიტომ უნდა განხორციელდეს უსწრაფესი, ყველაზე ეფექტური ღონისძიებანი.

ნელა მიმდინარეობს ნარკომანიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ეფექტიანი მეთოდების შემუშავება და დანერგვა, არადა, ამ მიზნებისათვის ხომ ჩვენში სპეციალური ლაბორატორიაა შექმნილი.

ცუდად არის ორგანიზებული მოზარდებთან მუშაობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სამედიცინო დაწესებულებებმა ყოველმხრივ უნდა განამტკიცონ ურთიერთობა „საზოგადოებრიობასთან, მშობლებთან, უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულონ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა.

მიზანმიმართული, უკომპრომისო ხასიათი უნდა მიანიჭონ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებო სკოლების პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ახალგაზრდობაში ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა კომკავშირის ღვიძლი საქმეა, უნდა აღმოვფხვრათ ფორმალიზმი, რომელიც ჯერ კიდევ იჩენს თავს მოსწავლე ახალგაზრდობის შეერებების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ორთვიურების მოწყობის დროს. ამ სოციალურ ბოროტებას კამპანიურად კი არა, ყოველდღიურად და შეუპოვრად უნდა ებრძოლოთ. ამ საქმეში საჭიროა საყოველთაო, სრულიად სახალხო პასუხისმგებლობა. ყოველმა მოქალაქემ უნდა შეიგნოს ეს პასუხისმგებლობა. საქმე ხომ ყმაწვილი თაობის ზნეობრივ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, ჩვენი ხალხის მომავალს ეხება.

მიდდა შევეხო კიდევ ერთ საჭირბოროტო პრობლემას, რომელზეც ჩვენ ბოლო დრამდე ვდუმდით, მაგრამ რომელმაც ისეთი ფორმები და ზომები შეიძინა, რომ დუმილი უკვე აღარ შეიძლება. საქმე ეხება პროსტიტუციას, ვენერიულ დაავადებათა მკვეთრ ზრდას.

ჩვენს კრებამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდით კანისა და ვენეროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ ლ. თ. შეწირულს, და თვალწინ გადაგვშალა ნამდვილად სავალალო სურათი. სტაბილურია ვენერიული სენით დაავადებულთა რიცხვის ზრდის ტენდენცია, ამავე დროს ზოგიერთი მაჩვენებელი რესპუბლიკაში საშუალო საკავშირო დონეზე გაცილებით მაღალია.

1986 წელს, მაგალითად, წინა წელთან შედარებით სხვადასხვა ვენერიული სნეულებით დაავადება გაიზარდა 26,1-დან 47 პროცენტამდე, ერთი სახეობის მიხედვით კი სამჯერ აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. თითქმის ოთხჯერ გაიზარდა დაავადებათა რიცხვი ახალგაზრდობაში, აღინიშნება დაავადების ერთგვარი მატება მოზარდებს, საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა შორის.

უნდა გავამკაცროთ ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ამორალურ-პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან და საპასპორტო რეჟიმს არღვევენ.

შეეხო რა მედიცინის კადრების მომზადებას, აღზრდასა და შრომის ორგანიზაციას, ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა აღნიშნა, რომ ამაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ჯანმრთელობის წინაშე დასახული ამოცანათა წარმატებული გადაწყვეტა.

ჩვენი საერთო და განსაკუთრებული სიამაყის საგანია, და ამას ყოველთვის აღვნიშნავთ ხოლმე, ის, რომ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე ექიმთა რიცხვით. ახლა ჩვენში ყოველ 10 ათას მცხოვრებზე მოდის ექიმი 55,4. ექიმთა თანამდებობების დაკომპლექტება 94,9 პროცენტს შეადგენს.

მაგრამ, და ამას დიდი სინანულით ვამბობთ, ეს პროცენტული მაჩვენებლები არ შეესაბამება თვისებრივ მაჩვენებელს, რასაც მოწმობს, ახლა რესპუბლიკაში მიმდინარე ექიმთა ატესტაცია. მან გამოავლინა, რომ 18 ათასი ატესტებული ექიმიდან 118 მიჩნეულია თანამდებობის შეუფერებლად, 4,300 ექიმი კი პირობითად არის ატესტებული. კარგად ვესმით, თუ რას ნიშნავს ეს. და საერთოდ, როგორ შეიძლება გარდაქმნის პირობებში ექიმთა ატესტაცია პირობითად?!

აქვე უნდა ითქვას, რომ კადრების მკაცრი და ობიექტური ატესტაცია სულაც არ ხსნის პასუხისმგებლობას სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, მათ პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს მათი სწორი შერჩევისა და პროფესიული ოსტატობის დონისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, კერძოდ, მინისტრის პირველ მოადგილეს ა. ღლონტს, რომელიც კადრებს განაგებს, მართებთ უკეთ შეისწავლონ კადრები. გულდასმით შეარჩიონ ისინი და პერსონალურად აგონ პასუხი მათთვის. იქნებ, მიზანშეწონილი იყოს, ახალგაზრდებთან ერთად მთავარი ექიმების თანამდებობაზე დაინიშნონ გამოცდილი კლინიცისტებიც, რომელსაც კარგი სახელი აქვთ.

მედიცინის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სწორი და საიმედო გზა მათი პროფესიული ცოდნისა და ჩვევების მუდმივი შევსებაა. მედიცინის კადრების გადამზადების მთელი სისტემის გარდაქმნაში უპირველესი როლი, ჩვენი აზრით, ეკისრება ექიმთა დახელოვნების, ინსტიტუტს, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდად პატივცემული სიმონ ხეჩინაშვილი — ცნობილი სპეციალისტი და მეცნიერი, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს მედიცინის მეცნიერების განვითარებაში. მაგრამ ეს ინსტიტუტს არ ხსნის პასუხისმგებლობას ჩვენი მედიცინის საკადრო კორპუსის თვისებრივი დონისათვის, რომელიც სულაც არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს.

უხეშად ირღვევა არსებული წესი, რომლის თანახმად ექიმები გადამზადებას უნდა გადიოდნენ ხუთი წელიწადში ერთხელ მაინც. ჩვენ კი გვყავს ექიმები, რომლებსაც გადამზადება არ გაუვლიათ 10 და მეტი წლის განმავლობაში.

კვლავ სერიოზულად დგას საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემა.

ჯანდაცვის დარგის კვალიფიკაციური კადრების მომზადებაში წამყვანი როლი ეკუთვნის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს, პირველი დადებითი ძვრები ამ საქმეში აქ უკვე დაისახა. წელს პირველი 150 უფროსკურსელი სტუდენტი გადიოდა სტაჟირებას მოსკოვის წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში. სასიხარულოა, რომ მათ პრაქტიკული სარგებლობა მოგვიტანეს, მოსკოველი ექიმების ქება დაიმსახურეს და რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომაც მიიღო სამადლობელი წერილი. მოსკოველი ამხანაგები ხაზგასმით აღნიშნავენ ქართველ სტუდენტთა სანიმუშო დისციპლინასა და დაინტერესებას. უდავო სარგებლობასთან ერთად, რომელიც სტაჟიორებმა მიიღეს, ეს არის რესპუბლიკის ავტორიტეტიც, პრესტიჟი. ახლა მთავარია, ინსტიტუტის რექტორატმა და პარტიულმა კომიტეტმა იღვაწონ, რათა ამგვარი სტაჟირება ყოველწლიური, ტრადიციული გახდეს.

ამასთანავე ინსტიტუტს უთუოდ უნდა დავეხმაროთ საკუთარი კლინიკური ბაზის შექმნაში, რათა აქ უფრო ფართოდ გაჩაღდეს პრაქტიკული მუშაობა. ინსტიტუტის კათედრები — ეს ხომ მხოლოდ ერთი მხარეა სასწავლო პროცესის, მომავალ ექიმთა მომზადებისა, მაგრამ არანაკლებ დიდნშვნელოვანია მეორე მხარეც — კლინიკა, ურომლისოდაც ფოსს ვერ გავა ახალგაზრდა მედიკოსი სპეციალისტი.

დღეს ეს საკითხი წამოჭრა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა ა. ვ. ასათიანმა. კარგი წინადადებაა — გადაეცეს სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელს ქალაქის ერთ-ერთი საავადმყოფო. ამ საქმეს აუცილებლად უნდა მივუდგეთ და შევისწავლოთ. ამ საკითხს პირველად არ აყენებენ და უნდა შევისწავლოთ გამოცდილება, ოომელიც უკვე აქვთ მოსკოვსა და ლენინგრადში.

აუცილებლად უნდა გავიაზროთ, როგორ ვამზადებთ მედიცინის მუშაკთა კადრებს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. სამედიცინო სპეციალობათა ირგვლივ არაჯანსაღი აყოლიკა შეიქმნა. სამედიცინო ინსტიტუტსა და სამედიცინო სასწავლებლებში ყოველწლიურად დიდი კონკურსები ეწყობა და მაინც ხშირად ხვდებიან შემთხვევითი ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ ექიმობის მოწოდება. გაოცებას იწვევს ასეთი გარემოებაც: აქ შემოდის ბევრი ფრაადოსანი, რომლებსაც საშუალო სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაუმთავრებიათ, უმაღლეს სასწავლებელში კი გაიცლებთ უარესად სწავლობენ, და სტუდენტთა შორის ფრაადოსნები მხოლოდ 10-11 პროცენტს შეადგენენ.

უკანასკნელ ხანს ცენტრალურ პრესაში, კერძოდ, გაზეთ „პრავდაში“ უფრო ხშირად ქვეყნდება მასალები იმის შესახებ, თუ როგორ ხვდება ჩვენი რესპუბლიკიდან წასული ახალგაზრდობა მრუდე გზებით ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, სამედიცინო სასწავლებლებშიც. სწორად მოიქცა გაზეთი „კომუნისტი“, როდესაც „პრავდიდან“ გადმობეჭდა სტატია „ინფიქცია შეჭარია სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელს, მკურნალობს პროკურატურა“.

ამ მასალაში აღძრულ საკითხებზე ჩვენ არაერთგზის გვილაპარაკია, მაგრამ საქმეს საშველი არ დაადგა. მტკიცედ უნდა მოვკიდოთ ხელი ამ პრობლემას.

სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა სწორ დაკომპლექტებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ინსტიტუტის მასწავლებელთა შემადგენლობის განმტკიცება. აქ საპენსიო ასაკისანი არიან: კათედრის გამგეები — 68,4 პროცენტი; პროფესორები — 78,8 პროცენტი; დოცენტები — 49,6 პროცენტი; უფროსი მასწავლებლები — 22,3 პროცენტი; ასისტენტები — 11,1 პროცენტი.

უმაღლესი სასწავლებლის ასისტენტთა 50 პროცენტზე მეტს და უფროს მასწავლებელთა 70 პროცენტს არა აქვს სამეცნიერო ხარისხები. მასწავლებელთა 30 პროცენტს კვალიფიკაცია არ აუმაღლებია ხუთი წლისა და 7 მეტი ხნის მანძილზე.

ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადება საქმის ერთი მხარეა. მეორეა — იზრუნო მისი პროფესიული ზრდისათვის, საბინაოსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ეს საკითხები ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანოს, თითოეული ხელმძღვანელის ყოველდღიური ყურადღების საგანი უნდა გახდეს. სწორედ ასე უდგებიან ამ ამოცანების გადაწყვეტას საგარეჯოს, ცაგერის, ზესტაფონის და ახალციხის რაიონებში, სადაც ცდილობენ ახალგაზრდა სპეციალისტებს ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმნან, რასაც ვერ იტყვი ისეთ რაიონებზე, როგორიც არის გეგეჭკორი, ხაშური, ახალქალაქი, აბაშა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ხალხის ჯანმრთელობის გაკაჟება, შეექმნათ სამედიცინო დახმარების გაწევის პრინციპულად ახალი საშუალებები და დავამკვიდროთ ჯანსაღი ცხოვრების წესი, საჭიროა უფრო აქტიურად ვავითარებდეთ მედიცინის მეცნიერებას, უფრო ფართოდ ვიყენებდეთ მის მიღწევებს ჯანდაცვის პრაქტიკაში.

ჩვენს ჯანდაცვას დიდი სამეცნიერო პოტენციალი აქვს. ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გარდა, 18 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ფუნქციონირებს. მედიცინის მეცნიერებაში დასაქმებულია მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების დიდი ნაწილი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები შეადგენენ რესპუბლიკის მეცნიერებათა დოქტორების 26 პროცენტს, ხოლო კანდიდატები — 15 პროცენტს.

რაკი მეცნიერებაზე ვლაპარაკობთ, ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ტექნიკაზე, ჯანდაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობაზე, რომელიც სერიოზულ განმტკიცებას, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვას, სამკურნალწამლო პრეპარატებით უზრუნველყოფას მოითხოვს.

თითქმის ყველგან ბევრი საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, პოლიკლინიკა- და ამბულატორია განლაგებული გვაქვს ნაკლებად მომარჯვებულ შენობებში, რომლებიც სარეკონსტრუქციოა ან, კაპიტალურად გასარემონტებელი, ხშირად ცუდად თბება, ზოგან არა აქვთ წყალსადენი, კანალიზაცია, ცხელი წყალი.

იმ ოთხი ათასი შენობიდან, სადაც ჯანდაცვის ობიექტებია განლაგებული, მხოლოდ ნახევარზე ნაკლებია აშენებული ტიპობრივი და ინდივიდუალური პროექტით, დანარჩენი ნაწილი მოითხოვს ან კომპლექსურ კაპიტალურ რემონტს, ანდა ჩამოწერას,

ჩვენ 10.000 კაცზე საწოლების რიცხვით საშუალო საკავშირო მაჩვენებელს ჩამოვრჩებით: ეს მაჩვენებელი 101,1-ია, საშუალო საკავშირო კი 124,9-ს შეადგენს, თანაც, რესპუბლიკაში საშუალო საკავშიროსთან შედარებით ნაკლებია საწოლების გამოყენების მაჩვენებელი. და ეს შეუსაბამობა საწოლთა ფონდის არასაკმარის პროფილიზაციას მოწმობს. მაგალითად, თერაპიულ ავადმყოფებს 1.500 საწოლი აკლიათ, ქირურგიული ავადმყოფებისთვის კი თითქმის ამდენივე ზედმეტი საწოლია. როგორც ხედავთ, აქაც იგრძნობა დაგვიგვიანებ ზარგზები.

წლითიწლობით ვერ სრულდება კაპიტალური მშენებლობის გეგმები. წელს ჯანდაცვის დარგის ობიექტებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულებას 14,9 მილიონი მანეთი დააკლდა.

კვლავინდებურად ვერ სრულდება გეგმები, მთლიანად ვერ ითვისებენ სახსრებს, უაღრესად მძარეა შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, რაც განსაკუთრებით თვალში საცემია ურონლგიის ინსტიტუტში, გალის სამშობიარო სახლში, ზნაურის რაიონულ საავადმყოფოში, ხარგნების გამო წლების მანძილზე ვერ ხერხდება უკვე დამთავრებული ობიექტების ამოქმედება, ჭიანურდება ჯანდაცვის ბევრი ახალი დაწესებულების მშენებლობა.

მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია ჩაბარდეს 6 ათასი საავადმყოფო საწოლი და 12 ათასი პაციენტისთვის გათვალისწინებული პოლიკლინიკები. ყოველივე, რაც დაგეგმილია, უთუოდ უნდა შესრულდეს. გეგმების რეალიზაციისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშენებლობის სამინისტროს და კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს. ჯანდაცვის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას და გაფმტკიცებას შეუნელებელი კონტროლი უნდა დაუწესონ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს განყოფილებებმა.

ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, გარკვეული სიძნელეებია სამკურნალწამლო საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში. სპეციალურ განხილვას საჭიროებს საადგილმამო ქსელის გაფართოება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხი, განსაკუთრებით სოფლად, რასაც მტკიცედ უნდა მოჰკიდოს ხელი აგრომრეწვამ.

კიდევ უფრო მეტად უნდა გაამკაცროს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა მთავარი საფთიაქო სამმართველოს ხელმძღვანელობამ, რომლის სისტემაში ჯერ კიდევ ურიგდებიან სერიოზულ დარღვევებს.

ყოველად უვარგისია ჩვენში სამკურნალო დაწესებულებათა ტექნიკური აღჭურვილობა, რომელთა ხელმძღვანელები ხშირად მოითხოვენ ვალუტით შესაძენ ყველაზე თანამედროვე მოწყობილობას. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად უნდა დავეხმაროთ, მაგრამ ამასთან ჩვენ არ გვგაჩნია ელემენტარული რამ, რისთვისაც სულაც არ არის საჭირო არც განსაკუთრებული სახსრები და არც ვალუტა. მაგალითად, საავადმყოფოებში არ არის მეორე და ავტონომიური ენერგოკვება, არ გაჩნიათ საკმაოდ ტალახიანი მურნეობა. ურთულესი ოპერაციების დროს ელექტროენერგიის გამორთვას ზოგჯერ ავადმყოფის დაღუპვაც მოჰყოლია, როგორც ეს მოხდა ონკოლოგიურ ცენტრში.

საამისო სახსრები ჩვენ გვაქვს, მაგრამ ამხანაგებს, ეტყობა, მისთვის ვერ მიუგნიათ...

ამასთანავე მრავლად ვხედებით ფაქტებს, როცა ფული არადანიშნულებისამებრ და ყოველად შეუწყობარეული ხელგაშლილობით იხარჯება.

რესპუბლიკის დირექტიულმა ორგანოებმა კარგად იციან, რადგან სჭირდებათ ჯანდაცვის დაწესებულებებს სამედიცინო ტექნიკის შეძენა, და სწორედ ამიტომ გაფოფინეს საამისო სახსრები ოთხი მილიონი მანეთის ოდენობით. მაგრამ ეს ფული მოხმარდა არა უაღრესად საჭირო აპარატურისა და ხელსაწყოების შეძენას, არამედ სამედიცინო მრეწველობის საწარმოებისათვის ვალის გადახდას, რომლებიც ცენტრალიზებული წესით გზავნან პროდუქციას, ჩვენს ჯანმრთელობის დაცვას მაინცდამაინც რომ არ ესაჭიროება.

რესპუბლიკაში არ არის არც ერთი სანიმუშო სამედიცინო დაწესებულება. სამინისტრო გადაყოლილია ყოველდღიურ წვრილმან საქმეებს, და ფაქტობრივად არაფერს აკეთებს ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და გარდაქმნის მთავარი სტრატეგიული მიმართულებებით.

ჩვენ გვაქვს მედიცინის სამყაროში ცნობილი დაწესებულებანი, როგორიც არის თერაპიის, კარდიოლოგიის, ქირურგიისა და სხვა ინსტიტუტები. მაგრამ მათ ჯერ-ოვან ყურადღებას არ უთმობენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები და სამინისტროს ხელმძღვანელობა.

უმოკლეს დროში უნდა გავერკვეთ თითოეული სამედიცინო დაწესებულების მუშაობის მდგომარეობაში, დავსახოთ მთელი ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნიდან გამომდინარე კონკრეტული ღონისძიებანი, შევამუშაოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფის კონკრეტული გეგმები.

აქ გამოვიდა „საქქაღალდმრეწვის“ გაერთიანების გენერალური დირექტორი ო. ა. ფაცაცა. ყველანი ყურადღებით ვუსმენდნდით.

ის, ვინც ამ საწარმოში ყოფილა, თავად დარწმუნდებოდა, რადგან ბევრი სასარგებლო, კარგი საქმის გაკეთება შეიძლება, თუ ხელმძღვანელი მონდომებით, პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს, როადგან ბევრი რამ არის დამოკიდებული ადამიანზე, პიროვნებაზე, ის, რაც ამ გაერთიანებაში გაკეთდა, სწორედ რომ, ნამდვილი ზრუნვაა მუშებისათვის, ახალგაზრდობისათვის, ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. ახლა აქ უკვე აღარ არის კადრების დენადობა, საწარმოდან არავინ არ მიდის, პირიქით, თითოეულ ღირსების საქმედ მიაჩნია ამ კოლექტივში მუშაობა.

დღეს ამ მაღალი ტრიბუნიდან მინდა სულითა და გულით მადლობა გადავუხადო ასეთ ინიციატივიან, საქმიან, მზრუნველ ხელმძღვანელებს, და ჩვენ ყოველნაირად უნდა წავახალისოთ ისინი — მორალურადაც და მატერიალურადაც.

სამწუხაროდ, ყველა დღევანდელ გამოსვლაში ვერ ვიგრძენით როგორც პარტიული, ისე პროფკავშირული მუშაკების წუხილი რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისათვის, ეს წუხილი, ეს სიმწვავე, ეს შეშფოთება არ იგრძნობოდა არც ი. ი. კაციტაძის გამოსვლაში, რომელიც ამას წინათ აირჩიეს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ. ალბათ, არ შეიძლება მუშაობის დაწყება საქმისადმი ასეთი არათვითკრიტიკული მიდგომით, როცა ბევრი ნაკლი აქვთ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, მაგალითად, სასწრაფო დახმარების ცენტრალურ სადგურში, სადაც გუშინ ვიყავით ევგენი ჩაზოვთან ერთად, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს სადგური ასეთ სავალალო მდგომარეობაში იქნებოდა — აქ ყველაფერი ცუდად არის, სასწრაფო დახმარების მუშაკთა დასასვენებელი ოთახებით დაწყებული და მათი კვების ორგანიზაციით დამთავრებული. არავინ არანაირად არ ზრუნავს მათთვის. და განა პროფკავშირების საქმე არ არის იზრუნოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შრომისა და დასვენების პირობებისათვის? ჩვენ, ალბათ, ცალკე განვიხილავთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მუშაობის საკითხს, საჭირო ღონისძიებებს განვახორციელებთ და წესრიგს დავამყარებთ, გარდაქმნა სწორედ იმას ითვალისწინებს, რომ სამედიცინო დაწესებულებებში წესრიგის დამყარებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა და თითოეული, მთავარი ექიმით დაწყებული და სანიტრით დამთავრებული. მინდა, რომ ამხანაგებმა კარგად გაიგონ ეს.

ჯანმრთელობის დაცვა საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფო საქმეა. აქ საჭიროა ღონისძიებათა კომპლექსი. აქ საჭიროა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ერთობლივი ძალისხმევა.

ყველამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებს, გარემოს დაცვის ამოცანების გადაწყვეტას, მოსახლეობის შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებას, და უნდა ახსოვდეს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება გულისხმობს მოსახლეობის სისტემატურ ჩაბმას ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, ბრძოლას თამბაქოს წევის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის და, რა თქმა უნდა, ნარკომანიის წინააღმდეგ, რაზეც წელან უკვე ვილაპარაკეთ.

ეკოლოგიის პრობლემები განსაკუთრებული პრობლემებია. საზოგადოებას და ბუნებას შორის ჰარმონიის დამყარებისათვის რომ ვიღაწვნთ, მთელ მოსახლეობას მუდამ უნდა ვუნერგავდეთ მზრუნველ დამოკიდებულებას მიწის, მისი წიაღის, ტბებისა და მდინარეების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსადმი.

მაგრამ გარემო ბუნების მდგომარეობა რესპუბლიკაში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ჩვენში ბევრი ობიექტია, რომლებიც აფრქვევენ მავნე ნივთიერებებს. მათ უმრავლესობას არა აქვს სანიტარიულ-დამცავი ზონები. განსაკუთრებით მაღალია ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების დონე თბილისში, რუსთავში, ზესტაფონში, ბათუმში, ქუთაისში, ტყვარჩელში.

უკანასკნელი წლების მანძილზე ხშირად ფუჭდება საწმენდი ნაგებობანი. მათი მუშობა ჯერ კიდევ საკმაოდ ეფექტიანი ვერ არის, იზრდება გამოსაბოლქვი გაზების გაფრქვევა. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ტბაკრისა და რიონის, შავი ზღვის სანაპიროს გასაწმენდად.

ქუთაისის საქალაქო სანეპიდსადგურის მთავარმა ექიმმა თ. მ. სვანიძემ აქ წუხილით თქვა, რომ სანიტარიული ექიმის პრესტიჟულობა ქვეითდება. სწორად თქვა. ვისი ბრალია ეს? უწინარეს ყოვლისა, თვით სანიტარიული ექიმებისა და, ბუნებრივია, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ხელმძღვანელებისა. სანიტარიული ექიმი ხომ მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროსთან, საზოგადოებრივი კვების საწარმოებით დაწყებული და კულტურის დაწესებულებებით დამთავრებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს არც ერთი ობიექტი, სადაც სანიტარიული სამსახური სანიმუშო-საჩვენებელი იყოს. არ გვაქვს ასეთი ობიექტი, არ გვაქვს ასეთი სამსახური, არ გვაქვს ასეთი რეგიონი.

ადამიანის ჯანმრთელობისთვის საჭიროა არა მარტო ჯანსაღი გარემო ბუნება, არამედ ჯანსაღი ცხოვრების წესიც. ამიტომ ჩვენ არაერთგზის დავბრუნებივართ და კვლავაც დავუბრუნდებით ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს.

ლოთობა და ალკოჰოლიზმი დიდ ზიანს აყენებს ჩვენს საზოგადოებას. მთვრალი მძღოლების მიზეზით ქუჩებში და გ

ულტიმატუმი

ტელეტაიპი გაღმოგვცემს

19 სექტემბერი ● სამშაბათი

ერთობლივი განცხადება

დამთავრდა ე. ა. შევარდნაძისა და ჯ. შულცის მოლაპარაკება

ვაშინგტონი. აქ გაავრცელეს შემდეგი ერთობლივი განცხადება: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა დაასრულეს სამი დღის სახარგებლო და საფუძვლიანი მოლაპარაკება ორი ქვეყნის ურთიერთობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა განიხილეს ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვა-შემცირებასთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე ქიმიური იარაღის საკითხების მთელი წრე. მინისტრებმა ექსპერტებთან ერთად გამართეს ინტენსიური მოლაპარაკება უწინარესად საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების საკითხზე. აპის შედეგად მიღწეულია პრინციპული მორიგება შესაბამისი ხელშეკრულების დადების თაობაზე. ევენევაში წარგზავნილ ორივე მხარის დელეგაციებს მიეცათ მითითება ინტენსიურად იმუშაონ, რათა შეთანხმონ დარჩენილი ტექნიკური საკითხები და რაც შეიძლება მალე დაასრულონ ხელშეკრულების პროექტის ტექსტის შემუშავება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი შეთანხმდნენ, რომ საჭიროა აგრეთვე აქტიური მეცადინეობა, რათა შემუშავდეს ხელშეკრულება ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი ევენევის მოლაპარაკების ფარგლებში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ორმოცდაათპროცენტიანი შემცირების შესახებ.

მხარეებმა განიხილეს ბირთვული გამოცდის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები და დათქვეს დაიწყოს 1987 წლის 1 დეკემბრამდე სრული მასშტაბის ეტაპობრივი მოლაპარაკება, რომელიც ერთიან ფორუმში წარიმართება. მათ მოიწონეს ცალკე განცხადება ამის თაობაზე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა იმსჯელეს აგრეთვე რეგიონალურ პრობლემებზე.

განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის ფართო წრის საკითხები. შეთანხმებულია იმ ღონისძიებათა 1987-1988 წლების პროგრამა, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ თანამოქმედების შემდგომ გააქტიურებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის სხვადასხვა დარგში.

მოეწყო ადამიანის უფლებათა საკითხებისა და ჰუმანიტარული საკითხების კონსტრუქციული განხილვა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი შეთანხმდნენ მოაწყონ დამატებითი შეხვედრა, რათა შეაჯამონ ყველა აღნიშნულ დარგში გაწეული მუშაობის შედეგები, მათ შორის, ევენევის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკებაზე წარგზავნილ დელეგაციათა მუშაობის შედეგები. მათ დათქვეს, რომ ასეთი შეხვედრა ოქტომბრის მეორე ნახევარში გაიმართება მოსკოვში.

საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების თაობაზე ხელშეკრულების ხელმოსაწერად და ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხთა მთელი სპექტრის განსახილველად მიღწეულია შეთანხმება მოეწყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრა. უმაღლესი დონის შეხვედრა გაიმართება 1987 წლის შემოდგომაზე, ამასთან კონკრეტული ვადები განისაზღვრება ოქტომბერში, როდესაც მოსკოვში მოლაპარაკებას გამართავენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი.

ერთადერთი

კაცი, რომელსაც გაგაცნობთ, რესპუბლიკაში ერთადერთია თავისი პროფესიით. შოთა ციხელაშვილი საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს საავიაციო დაცვის II კლასის მფრინავ-მეთვალყურეა.

ჩვენ დიდი ხნის ნაცნობები ვართ, არაერთხელ გვიფრენია ერთად. შოთამ ჯერ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა, მერე მფრინავ-მეთვალყურის კურსები და აი, 1977 წლიდან ხანძრისგან ტყის საავიაციო დაცვის ვერტმფრინავით დაფრინავს.

გუშინ კვლავ შეეხვდით ერთმანეთს დათქმულ დროს. ჩვენი ვერტმფრინავი ეს-ესაა აფრინდა თბილისის აეროპორტიდან. ათიოდე წუთიც და, უკვე თავს დავტრიალებთ გომბორის უღრან ტყეებს.

— საგარეჯოს სატყეო მეურნეობაა, — მეუბნება შოთა.

გარეთ 5 გრადუსი სითბოა, ქარის სიჩქარე საათში 32 კილომეტრია, ზღვის დონიდან 1800 მეტრზე ვართ. გომბორი — წითელწყარო — ლაგოდეხი — ჯოყოლო — ომალო — ბარისახო — ახმეტა.. 6 საათში 900 კილომეტრზე მეტი უნდა დავფაროთ ამ მარშრუტით.

— ყოველ მარშრუტს ჰიდრომეტეოცენტრის ცნობებით ვადგენთ, — ამბობს იგი, — უკვე მეთერთმეტე წელია, საქართველოს სსტყეფონდის ტერიტორიაზე — 2,2 მილიონ ჰექტარზე ეწყობა ავიაპატრულირება. სადაც მეტი საფრთხეა ხანძრისა, იქ მივფრინავთ. წელიწადში 600 საათს ვატარებ ცაში. ყველაფერი ამინდზე და წლის დროზეა დამოკიდებული. ზაფხულობით ხანძრის საშიშროება მატულობს, ჰოდა, ლამის სულ ცაში ვარ. მუდამ ფხიზლად უნდა ვიყო, რათა დროულად აღმოვაჩინო ხანძრის კერები და ოპერატიულ ზომებსაც მივმართო. ტურისტული სეზონის დროს კი საუბრებს ვუტარებ დამსვენებლებს და ტურისტებს, ვაწყობ ტყეპათოლოგიურ კვლევას.

ზემოდან განსაკუთრებით კარგად მოჩანს ყველაფერი ზაფხულის დამდეგს, როცა ტყე ფოთოლს ცსხამს. რუკაზე აღინიშნება ტყის სანიტარიული მდგომარეობა, მცენარეთა დაავადების ძველი და ახალი კერები. ამ უბნებისთვის სიგნალიზაციის ფურცლებს ვადგენთ და თუ ამის საშუალება მოგვეცა, სატყეო მეურნეობის იმ ტერიტორიაზე ვჯდებით, სადაც დაავადების კერა შეინიშნება, თუ არა და, მეტყუობინების ფურცლებს ჩამოვურით ხოლმე.

აი, ჩვენს ქვემოთ ახმეტის სატყეო მეურნეობაა — 74 330 ჰექტარი ჯირითადად ფოთლოვან ტყეებს — მუხნარს, წიფლნარსა და წაბლნარს უკავია. ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში 50 ჰექტარზე ამოძირკვა ბებერი, დაავადებული ნაკვეთები, მათ ადგილას ნერგები ჩაყარეს. მარტო წელს 65 ჰექტარზე გაშენდება წაბლის, კაკლისა და სხვა ძვირფასი ჯიშის ნარგავები.

შეუჭიხვლად იწურება ფრენის დრო. უკვე თბილისს ვუახლოვდებით, მზე სადაცაა ჩავა და ჩვენც მიწაზე ვეშვებით.

სურათებზე: საპატრულო ვერტმფრინავი; შოთა ციხელაშვილი და პილოტი ანდრია გამანოვი ფრენის მარშრუტს აზუსტებენ.

ზ. კრიმსკი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

◆ ჩეხოსლოვაკია

სრული მხარდაჭერა

პრაღა. ჩეხოსლოვაკია მიესალმება და დიდად აფასებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის იდეებს, რომლებიც მან წამოაყენა სტატიაში „უსაფრთხო მსოფლიოს რეალობა და გარანტიები“, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გუსტავ ჰუსაკმა ჟურნალისტებისათვის პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე გამოსვლისას. ჩვენ ეს იდეები მიგვაჩნია უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო ურთიერთობის იმ კონცეფციის ღრმა განვითარებად და ყოველმხრივ კონკრეტიზაციად, რომელიც გამოიხატა საერთაშორისო მშვიდობისა და შიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის წინადადებით, სოციალისტურმა ქვეყნებმა რომ წამოაყენეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს პლენტაზე ადამიანის უსაფრთხო არსებობის ისეთი ახალი წესების შემუშავებას, რომლებიც მთლიანად შეესაბამება ბირთვულ-კოსმოსური საუკუნის რეალობებს.

ჩეხოსლოვაკია, თქვა გ. ჰუსაკმა, მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს ახალი კონსტრუქციული ინიციატივების რეალიზაციაში საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნის ინტერესებისათვის. მან აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა უდიდესი ყურადღებითა და იმედით ადევნებს თვალს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. ამ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება მნიშვნელოვანწილად შეუწყობდა ხელს ნდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას. ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობამ ღრმა კმაყოფილებით აღიქვა სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს მიღწეული მორიგება იმის თაობაზე, რომ 1987 წლის 1 დეკემბრამდე უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების შეზღუდვისა და შემდგომი სრული შეწყვეტის საკითხებზე, დასძინა გ. ჰუსაკმა.

◆ საფრანგეთი

აპრიტიკმეზენ ეკონომიკურ კურსს

პარიზი. საფრანგეთის კომუნისტური პარტია მტკიცედ ილაშქრებს ახლანდელი მთავრობის ეკონომიკური კურსის წინააღმდეგ, რომელსაც თან მოჰყვება მასობრივი უმუშევრობა, წარმოების შემცირება, მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითება. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის ფილიპე ერეზოგის განცხადებაში.

კაბინეტის მიერ ფართოდ რეკლამირებული ეკონომიკური ღონისძიებები, სახელდობრ, გადასახადების რამდენადმე შემცირება, უწინარეს ყოვლისა მსხვილი კაპიტალისთვის არის ხელსაყრელი. როცა ახლანდელი მთავრობის თვალსაჩინო მოღვაწენი „ეკონომიკურ აღმავლობაზე“ ლაპარაკობენ, არსებითად ბოლო დროის მანძილზე არნახულ ფინანსურ მაქინაციებს, ფინანსური კაპიტალის როლის გაძლიერებას, „ფულის ტომრების“ მოგების უპრეცედენტო ზრდას გულისხმობენ. კაბინეტი ფაქტობრივად ეკონომიკის განვითარების ახლანდელი „ამერიკული მოდელით“ ხელმძღვანელობს და ივიწყებს მის უმძიმეს ნეგატიურ შედეგებს.

ამასთან ერთად „მკაცრი მომჭირნეობის“ საბაბით მკვეთრად მცირდება მეცნიერების, კულტურის, განათლების, მრეწველობის სახელმწიფო სექტორის განვითარების სახელმწიფო ასიგნებანი, ხაზი გაუსვა მან. საფრანგეთის კომპარტიის აზრით, აღნიშნა ფ. ერეზოგმა, ქვეყანაში ამჟამად შექმნილი რთული სიტუაციის დაძლევა შეიძლება სახელმწიფო სექტორის გაფართოებით და მისი როლის განმტკიცებით, მეორე მეოთხედი კი მტრულს. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით უფრო რთულად იყო.

რუსი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც რევოლუციური იყო, აოწლეულების მანძილზე ებრძოდა მეფის აბსოლუტიზმს და თებერვლის რევოლუციას „ვაშას“ ძახილით შეხვდა, როგორც თავისი იდეალების ხორცშესხმას. თებერვლისას, მაგრამ არა ოქტომბრის რევოლუციას; ოქტომბრისთვის, მთელი თავისი დემოკრატიულობის მიუხედავად, ჩვენი ინტელიგენცია მზად არ იყო და ვერც იქნებოდა, მისი ყველაზე რევოლუციური ნაწილის გარდა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ოქტომბრის ამბებში.

როცა ავანსცენაზე ისტორიაში პირველად გამოვიდნენ ხალხის მასები, ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი დაიბნა, რადგან არცთუ უსაფუძვლოდ შეშინდა, რომ ეს მასები წალეკავდნენ ცივილიზაციისა და კულტურის კუნძულებს და თვით მასაც გაუსწორდებოდნენ. ამ შიშს, სხვათა შორის, იზიარებდა მაქსიმ გორკიც, რომელიც თვით 1918 წლის სექტემბრამდე ფრიად უარყოფითად უყურებდა ოქტომბრის რევოლუციას.

კარგა ხანი დასჭირდა იმას, რომ ჩვენი ინტელიგენციის დაბნეულობა და შეშფოთება დაძლეულიყო. მაგრამ როცა თვალსაჩინო ლენინგრადელმა ისტორიკოსმა ო. ზნამენსკიმ ამ შიდი წლის წინათ დაწერა წიგნი 1917 წლის ინტელიგენციის შესახებ, ეს წიგნი ზოგიერთი ისტორიკოსი დღემდე ცდილობს ამ დოგმატურ არტახებში დაგვტოვოს.

კორესპონდენტი. ისტორიას ყველა: ხალხი აზუსტებს ყველა ხანაში, ალბათ ძველი რომით დაწყებული. ზოგი იმასაც კი ამბობს, ეს ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესიაო. პატივცემულო პავლე, გვაქვს თუ არა საფუძველი ახლებურად შევხედოთ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიას, მათ შორის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდს, რომელზეც თქვენ მუშაობთ?

ვოლოგუევი. არსებითად, ყოველი თაობა ახლებურად აღიქვამს, ახლებურად უყურებს და აფასებს ისტორიას, და ამ თვალსაზრისით მისი ხელახალი გააზრება კანონზომიერი პროცესია. სულ სხვა რამაა, როცა ისტორიას რამდენჯერმე გადააკეთებ ერთი თაობის თვალწინ, როგორც ეს ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ხდებოდა; მე მგონია, ეს ნდობასა და ავტორიტეტს ვერ მატებს ვერც თვით გადამკეთებლებს და ვერც ისტორიის მეცნიერებას. ჩვენ უნდა დავკანონებულ ბედზე ისტორიის ყოველ დღეს, უნდა ვაფასებდეთ ჭეშმარიტებას, პასუხისმგებლურად და კომპეტენტურად ვიკვლევდეთ ჩვენს წარსულს.

რაც შეეხება ოქტომბრის ისტორიას. მე მგონია, ზოგიერთ ძველ მიდგომაზე დრო უარი ვთქვათ. ოქტომბრის რევოლუციას, ჩვენ, ჩვეულებრივ, მოსაწყენი სქემების არტახებში ვთავსებთ და ვაკერპებთ, იმის ნაცვლად, რომ ისე ვხედავდეთ, როგორიც იყო — ერთდროულად გმირული და დრამატული, ხშირად ტრაგიკულიც (ტრაგიკული იმიტომ, რომ იმ უჩვეულოდ რთულ ხანაში ერთმანეთს აწყდებოდნენ კლასები, პარტიები, პიროვნებები, მათი იდეები და ლოზუნგები). ჩვენ კი, ალბათ, არ გვაწყენდა გაგვეხსენებინა, რომ არა ვინმე სხვა, არამედ თვით ვ. ი. ლენინი დასცინოდა იმათ, ვინც რევოლუციას ლამის „ღვთაებრივს“ უწოდებდა და „რევოლუციას“ ასომთავრულით წერდა“. მეორე ჩვენი ცოდვა ის გახლავთ, როგორც ამას ბოლო აღწერულების მანძილზე შვრებოდნენ ჩვენი ცალკეული კინემატოგრაფისტები, მწერლები, ჟურნალისტები, რევოლუციის ცრუჰეროიკული სურათებს ვქმნიდით, რომლებსაც ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო სინამდვილესთან.

მე იმის ურყევი მომხრე ვარ, რომ უკუვაგდოთ ამგვარი სქემები და სტერეოტიპები და, რაც მთავარია, დოგმატური სტილის აზროვნება; ცოცხალი ადამიანებიც დავასახლოთ ისტორია, უფრო საფუძვლიანად და ყოველმხრივ მივუდგეთ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს. სწორად გამიგეთ, სრულიადაც არ მოგიწოდებთ წყალში გადაეშვათ ყველაფერი, რაც დღემდე დაიწერა ოქტომბრის ისტორიაზე, პირიქით, ჯეროვან პატივს მივაგებ ოქტომბრის რევოლუციის ისტორიისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ შრომებს, რომლებიც 70 წლის მანძილზე შეუქმნია ჩვენი ისტორიკოსების თაობებს. **ჩვენ კვლავაც წინ ვივლით ოქტომბრის ლენინური კონცეფციის, ჩვენი წინამორბედების შრომებისა და გამოცდილების საფუძველზე.**

მე მგონია, ისტორიისადმი ახლებური მიდგომა იმით გამოიხატება, რომ უწინარეს ყოვლისა უარს ვიტყვით მიფუჩეჩება-დამახინჯებაზე, რითაც ხშირად სცოდავდნენ ჩვენი მემატიანეები, და დავუბრუნდებით ისტორიზმის, ისტორიული სიმართლის პარტიულ პრინციპს, ამასთან არა მარტო რომელიღაც ნეგატიური მხარეებისა და მოვლენების მართლად ასახვის მხრივ, როგორც ეს ზოგჯერ ობივატელებს წარმოუდგენიათ, არამედ ყოველმხრივი სიმართლის თვალსაზრისითაც.

კორესპონდენტი. თქვენი აზრით, ოქტომბრის ისტორიის რომელ პერიოდებს ან პრობლემებს სჭირდება ახლებური მიდგომა?

ვოლოგუევი. არსებობს პრობლემების მთელი დასტა, რომლებსაც ჩვენი ისტორიკოსები ძალზე გამარტივებულად გვთავაზობენ, და მათ შორის რევოლუციისადმი რუსი ინტელიგენციის დამოკიდებულებისა და მისი როლის საკითხი. ჩვეულებრივ, საქმე ისე წარმოგვიდგენია, თითქოს ოქტომბრის რევოლუციის ერთბაშად მიესალმა და გაიზიარა სულ ცოტა რუსი ინტელიგენციის ნახევარმა. ერთი მეოთხედი ნეიტრალურ პოზიციას დაადგა, მეორე მეოთხედი კი მტრულს. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით უფრო რთულად იყო.

რუსი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც რევოლუციური იყო, აოწლეულების მანძილზე ებრძოდა მეფის აბსოლუტურ თუ კაპიტალისტურს, საათ ეკლო. დღემდე პრობლემას ისე ვსვამდით, თითქოს განვითარების სოციალისტური გზა ქვეყნისათვის წინასწარ ყოფილიყოს განსაზღვრული, „დაპროგრამებული“, სინამდვილეში კი ეს ერთ-ერთი რეალური შესაძლებლობა იყო სხვა შესაძლებლობათა შორის, და მისთვის უნდა გეგბრძოლა.

ჩემს წიგნში „საზოგადოებრივი განვითარების გზების არჩევა, თეორია , ისტორია და თანამედროვეობა“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოუშვა „პოლიტგამომცემლობამ“, გაანალიზებულია, რატომ არ დავადექით რუსეთის განვითარების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გზას. მთელ კომპლექსურ მიზეზთა შორის გამოვყოფ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს — პრობლემების მთელ კვანძს, რომლებიც იმ დროს იდგა რუსეთის წინაშე: ომიდან გამოსვლა, მეურნეობის გაპარტახება, მწის, ეროვნული და ბევრი სხვა გადაუწყვეტელი საკითხი — იმდენად რთული და ჩახლართული აღმოჩნდა, რომ მისი გადაწყვეტა მხოლოდ რევოლუციური გზით შეიძლებოდა და არა რეფორმისტული საშუალებებით, და ლენინსაც სრული საფუძველი ჰქონდა ეთქვა: „რეფორმების გზა, რომელიც კრიზისიდან — ომიდან და გაპარტახებიდან გამოგვიყვანდა, არ არსებობს“.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ რუს ბურჟუაზიას, რომელიც ცარიზმმა გამოჩეკა და მიეჩვია მართვის ტოტალიტარულ მეთოდებს, ინგლისელი თუ ფრანგი ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, არ ეხერხებოდა მანევრირება, და პოლიტიკური განვითარებით ჩამორჩებოდა როგორც მათ, ისე საკუთარ პროლეტარიატს.

აღბათ შენიშნავდით, რომ ოქტომბრის ამბებისადმი მეტ-ნაკლებად ახლებური მიდგომის მაგალითებად არც ისე ბევრი წიგნი ჩამოთვალე. საქმე ის გახლავთ, რომ მასობრივი მკითხველისათვის სრულფასოვანი წიგნების, არა მარტო ობიექტური, არამედ ამასთანავე საინტერესო, გასაგები ენით დაწერილი წიგნების შექმნა ჯერ კიდევ საკმაოდ გვიჭირს. ჯერჯერობით პირველ ნაბიჯებს ვდგამთ გარდაქმნის გზაზე, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ნაბიჯებს არ დაჯერდებით.

კორესპონდენტი. პატივცემულო პავლე. ყოველივე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ასე თუ ისე ისტორიის სრულ გაშუქებას ეხება. მაგრამ ბევრ ისტორიული მოვლენე ხომ სამეცნიერო შრომებში, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში, ასე ვთქვათ, მრუდე სარკეში წარმოგვიდგება — საკუთარ მკითხველისათვის მიუწვდომელი დარჩა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც, ჩემი აზრით, ახლებურ მიდგომას მოითხოვს, ეს არის ოქტომბრის რევოლუციაში წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ბედი. ამ პრობლემას ჩვენი ისტორიკოსები ცალმხრივად და ზერელედ აშუქებენ, იმ სქემით, რომელიც თავის დროზე ი. ბ. სტალინმა შემოგვთავაზა, — თითქოს რევოლუციის თავარი მტრები მენშევიკები და ესერები, ანუ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ყოფილიყოს, და არა ბურჟუაზია და მისი პარტიები.

სინამდვილეში კი თავის დროზე ბოლშევიკები თანამშრომლობდნენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ერთ-ერთ ფრაქციასთან — მემარცხენე ესერებთან, რაც ხელსაყრელი იყო ბოლშევიკებისათვისაც და რევოლუციის საქმისათვისაც. ეს კარგად ესმოდა ვ. ი. ლენინს, რომელმაც მემარცხენე ესერების ერთ-ერთი ლიდერისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში „პროშიანის ხსოვნაში“ ჯეროვანი პატივი მიაგო მას იმისათვის, რაც რევოლუციისათვის გააკეთა.

პროლეტარიატის მეთაურობით ერთიანი რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტი გენერალ კორნილოვის შეთქმულების დღეებში შეიქმნა და მისი მეშვეობით შეთქმულება სწრაფად ჩაახშეს. ამ დეტალებზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასთან კავშირის საკითხი უაღრესად თანადროულია, იმასაც კი ვიტყვი, რომ ამჟამად ეს ერთ-ერთი ძირეული საკითხია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისათვის.

ჩვენი რევოლუციის ისტორია ისე წარიმართა — და, როგორც ჩანს, მოვლენათა სხვაგვარი მსვლელობა გამორიცხული იყო, — რომ 1917-1920 წლებში ბოლშევიკები და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის პარტიები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა რევოლუციის დროს მათი თანამშრომლობის გამოცდილება — ეს კი ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ მტრები ერთი დღით მეგობრდებოდნენ, — ამჟამად ჩვენთვის ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ის, რომ ოქტომბრის რევოლუციაში კლასობრივი და პოლიტიკური კავშირების რთული საკითხი დიდ ხნის მანძილზე მარტივდებოდა და მახინჯდებოდა, მე მგონია, მარტოოდენ ისტორიკოსების ბრალი არ უნდა იყოს. პარტიის XX ყრილობის შემდეგ, ისტორიკოსებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისთვის, რომ აღედგინათ ოქტომბრის რევოლუციის ლენინური კონცეფცია, კერძოდ ამ საკითხში, მაგრამ 70-იანი წლების დამდეგს ზემოდან არაკომპეტენტური ადმინისტრაციული ჩარევის გამო იძულებული გახდნენ ძველ სტალინურ სქემებს დაბრუნებოდნენ, თანაც ურჩ მეცნიერებს მაგრადაც მოსცხეს. არსებითად ზოგიერთი ისტორიკოსი დღემდე ცდილობს ამ დოგმატურ არტახებში დაგვტოვოს.

კორესპონდენტი. პატივცემულო პავლე, მართალი გითხრათ, თქვენმა სიტყვებმა (და, ალბათ, მეთხველებსაც ეგივე დაემართებათ)ჩვენი ისტორიის მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობის არცთუ სასიამოვნო ხარჯთი შემიქმნა. მაგრამ, იქნებ იმან, რასაც ახლა გვეტყვით გარდაქმნის პერსპექტივებზე, იმაზე, თუ რა კეთდება ოქტომბრის ისტორიაში „გამორჩენილის“ აღსადგენად, ოპტიმიზმი დაუბრუნოს მკითხველს?

ვოლოგუევი. ვეცდები კონკრეტული ვიყო. ჯერ ერთი, უკვე გამოვიდა კრებულები „დიდი ოქტომბრის ისტორიული გამოცდილება“, „დიდი ოქტომბერი და ისტორიის პრობლემები“? „პოლიტგამომცემლობა“ გამოსაშვებად ამზადებს მეცნიერულ-პოპულარულ წიგნს „ოქტომბრის რევოლუცია კითხვა-პასუხებში“ და სხვა არა მარტო საინტერესო, არამედ სადღეისოდ აუცილებელ წიგნებსაც. ამ წიგნებში რევოლუცია პირველად იქნება განხილული იმ ალტერნატივის პრიზმით, რომელიც 1917 წელს რუსეთის წინაშე დაისახა — განვითარების რომელ გზას დასდგომოდა — სოციალისტურს თუ კაპიტალისტურს, საათ ეკლო. დღემდე პრობლემას ისე ვსვამდით, თითქოს განვითარების სოციალისტური გზა ქვეყნისათვის წინასწარ ყოფილიყოს განსაზღვრული, „დაპროგრამებული“, სინამდვილეში კი ეს ერთ-ერთი რეალური შესაძლებლობა იყო სხვა შესაძლებლობათა შორის, და მისთვის უნდა გეგბრძოლა.

ჩემს წიგნში „საზოგადოებრივი განვითარების გზების არჩევა, თეორია , ისტორია და თანამედროვეობა“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოუშვა „პოლიტგამომცემლობამ“, გაანალიზებულია, რატომ არ დავადექით რუსეთის განვითარების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გზას. მთელ კომპლექსურ მიზეზთა შორის გამოვყოფ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს — პრობლემების მთელ კვანძს, რომლებიც იმ დროს იდგა რუსეთის წინაშე: ომიდან გამოსვლა, მეურნეობის გაპარტახება, მწის, ეროვნული და ბევრი სხვა გადაუწყვეტელი საკითხი — იმდენად რთული და ჩახლართული აღმოჩნდა, რომ მისი გადაწყვეტა მხოლოდ რევოლუციური გზით შეიძლებოდა და არა რეფორმისტული საშუალებებით, და ლენინსაც სრული საფუძველი ჰქონდა ეთქვა: „რეფორმების გზა, რომელიც კრიზისიდან — ომიდან და გაპარტახებიდან გამოგვიყვანდა, არ არსებობს“.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ რუს ბურჟუაზიას, რომელიც ცარიზმმა გამოჩეკა და მიეჩვია მართვის ტოტალიტარულ მეთოდებს, ინგლისელი თუ ფრანგი ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, არ ეხერხებოდა მანევრირება, და პოლიტიკური განვითარებით ჩამორჩებოდა როგორც მათ, ისე საკუთარ პროლეტარიატს.

აღბათ შენიშნავდით, რომ ოქტომბრის ამბებისადმი მეტ-ნაკლებად ახლებური მიდგომის მაგალითებად არც ისე ბევრი წიგნი ჩამოვთვალე. საქმე ის გახლავთ, რომ მასობრივი მკითხველისათვის სრულფასოვანი წიგნების, არა მარტო ობიექტური, არამედ ამასთანავე საინტერესო, გასაგები ენით დაწერილი წიგნების შექმნა ჯერ კიდევ საკმაოდ გვიჭირს. ჯერჯერობით პირველ ნაბიჯებს ვდგამთ გარდაქმნის გზაზე, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ნაბიჯებს არ დაჯერდებით.

**კორესპონდენტი. პატივცემულო პავლე. ეს ალბათ ზოგჯერ ასე ხდება. ადამიანი ეძებს ერთ-ერთ ამოსავალ ფაქტს, ერთ ციტატას, ერთ ფრაზას, ერთ ფურცელ ტექსტს, ერთ ფოტოს, ერთ ფილმს, ერთ ანეკდოტს, ერთ ლეგენდას, ერთ ... ერთ ... ერთ ... ეს ... ეს ... ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად არის ფესვი ბოროტებისა

პროსტიტუციის თემა მოდაში შემოვიდა. წლები გადიოდა, ჩვენ კი ისე გვეჭირა თავი, თითქოს ჩვენში ამ ბოროტების ნატამალიც კი არ ყოფილიყოს, იგი კი ავთვისებიან სიმსივნესავით მატულობდა, ავადმყოფებსა და სხვადასხვა დანაშაულს ამრავლებდა, ჩვენს ზნეობრივ ღირებულებებს არღვევდა და ოჯახებს ანგრევდა. პროსტიტუცია, ადამიანის ღირსების ერთ-ერთი ყველაზე დამამცირებელი ხელობა, რყვნის არა მარტო თვით მეძავებს, არამედ ყველას, ვინც ამაში მონაწილეობს და ხელსაც ითბობს. ეს არის მისი მთავარი სოციალური საშიშროება.

სიბნელეში დიდხანს გამომწყვდეულ კაცს კამკაშა სინათლე რომ ჩავურთოთ, თვალები ეტკინება. რაღაც ამგვარი ხდება ახლა ჩვენში. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან თუ ტელევიზორების ეკრანებიდან მოვარდა ინფორმაციის ნიაღვარი და ყველანი ერთად ავქოთქოთდით: „რა საშინელებაა!“. ჰოდა, დაუყოვნებლივ ვებღღვენით ბოროტებას, რათა ჩაგვექოლა და გაგვეთელა, თუმცა არც მისი არსი გვესმოდა და არც ბუნება, როგორც მედიკოსები იტყვიან, არც ანამნეზი, ანუ ავადმყოფობის განვითარება-ისტორია, არც მის წინაადმდეგ ბრძოლის ხერხები ვიცოდით. მაგრამ ამასთანავე ვინ არ იცის, რომ პროსტიტუცია, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, გაცილებით უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე ამჟამად დედამიწაზე მცხოვრები რომელიმე ხალხი. ტყუილად კი არ უწოდებენ „უძველეს პროფესიას“.

სიტყვა „პროსტიტუცია“ ლათინურად სიბილწეს, უპატიოსნობას ნიშნავს. ძველ რომში, განსაკუთრებით უკანასკნელ იმპერატორთა ხანაში, ეს ბოროტება იმდენად ფეხმოკიდებული იყო, რომ შეძლებული არისტოკრატი ქალებიც კი კადრულობდნენ საკუთარი სხეულით ვაჭრობას. მაგრამ ძველ რომამდე ბევრად ადრეც — ასირიასა და ბაბილონში ფრიად ყვაოდა ეს სძალახისი საქმიანობა. ბიბლიური ქალაქები სოდომი და გომორი გარყვნილების სინონიმად იქცა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროსტიტუცია ქალაქმა შვა. და შობისთანავე დაუწყეს დევნა, უძველესი ხანიდან ებრძვის ამ საშინელებას საზოგადოება — ებრძვის შეუპოვრად, დაუნდობლად და... ამაოდ.

ძველ აღთქმაში ნათქვამია, რომ მოსეს 32 ათასი მეძავი გაუწყვეტია. როგორც ჩანს, ამ ლეგენდაში რაღაც რეალური ამბავი უნდა იყოს ასახული. მაგრამ, აი, უკვე არა ლეგენდა, არამედ ისტორიული ფაქტი: 1587 წელს ფრანგ მარშალს სტროცის, როგორმე რომ მოეშორებინა თავიდან მეძავები, რომლებიც თან დასდევდნენ ჯარს, უბრძანებია ლუარაში ჩაეღრჩოთ 800 როსკიპი. უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეებს ევროპაში პროსტიტუცია ფართოდ და ყველგან გავრცელდა. ერთი მხრივ, ამას ხელს უწყობდნენ საერო და სასულიერო ხელისუფალნი, რადგან ეს მათ დიდ შემოსავალს აძლევდა, მაგრამ, მეორე მხრივ, დაუნდობლად დევნიდნენ, რადგან ვენერიულ დაავადებათა მთავარი წყარო იყო. ავსტრიაში მარიამ-ტერეზას მეფობის ყამს შემოღებულ კანონი, რომლის თანახმადაც ქალს, თუ თავისი სხეულით ვაჭრობდა, ასე სჯიდნენ: ეკლესიაში მიიყვანდნენ, ტომარაში ჩასვამდნენ და ნიკაპთან შეუკაზდნენ. ჯალათი თმას გადაპარსავდა და თავზე მჭვარტლიან კუპრს წაესვამდა. ჰოდა, ასე წარუდგენდნენ ხალხს წირვის ყამს. წირვის დამთავრების შემდეგ სკამზე დაბამდნენ და შიშველს გაროზგავდნენ. მერე ნატანჯ-ნაწამებს ურმით ქალაქში გაიყვანდნენ და გზის პირას არხში გადაუშვებდნენ. ამას ავსტრიაში XIX საუკუნის 20-იან წლებამდე შვრებოდნენ. ალბათ, ამ შემზარავი სურათის აღწერა ბევრს ესიამოვნებდა კიდეც. თან ინატრებს, ნეტავ ჩვენს დროშიც ასე უშვრებოდნენ მეძავებს.

ამას უსაფუძვლოდ არ ვამბობ, როცა სადმე ლაპარაკი ჩამოვარდნილ საქართველოს ტელევიზიის 13 სექტემბრის გადაცემაზე, ხშირად მსმენია, მაგისთანებისათვის სიკვდილიც ცოტაააო. მუტნაკლებად ასეთი საზოგადოებრივი აზრი მოჰყვა ამ გადაცემას. მინდა გავაწმინდო აღმფოთებული მოქალაქენი. კიდეც ზოცავდნენ, კიდეც აწამებდნენ — არაფერი გამოვიდა. იმავე ავსტრიაში, მარიამ-ტერეზას მხეცური კანონების შემდეგ, პროსტიტუცია კიდევ უფრო გავრცელდა. საერთოდ, თუ კარგად ჩავუკვირდებით პროსტიტუციის ისტორიას, ასეთ პარადოქსს შევნიშნავთ: რაც უფრო დაუნდობლად დევნიდნენ, მით უფრო ფართოდ ვრცელდებოდა. თუმცა აქ პარადოქსული არაფერია: თუ სენს მკურნალობის ნაცვლად ღრმად შევდენით ორგანიზმში, იგი კიდევ უფრო დამღუპველი ხდება. ასეა აქაც: მთელი ამ დროის მანძილზე საზოგადოება მეძაობას კი არ ებრძოდა, როგორც მოვლენას, არამედ... თვით მეძავებს. მაგრამ განა მათ შვეს ეს ბოროტება? ისინი თვითონ არიან მისი უბედური მსხვერპლნი. პროსტიტუციას მხოლოდ მაშინ მოვუღებთ ბოლოს, როცა ამ ბოროტების მიზეზებს ჩავწვდებით. როცა მის წინააღმდეგ წამალს გამოვნახავთ.

„უფრო მოკლე ხანში მისაწვდომი გახადეთ სწავლა-განათლება, ქორწინების შესაძლებლობა მიეცით ყველა მსურველს, უზრუნველყავით მათთვის მშვიდი ოჯახური ცხოვრება და დაარწმუნეთ ყველანი, ზნეობრივად, პატიოსნად იცხოვრონ და მაშინ... მაშინაც კი იარსებებს პროსტიტუცია“, — წერდა გასული საუკუნის მიწურულს ერთი ცნობილი მეცნიერი. 1930 წელს გამოცემული ენციკლოპედია აშკარად ამტკიცებს, როგორც კი საბჭოთა კავშირში მთლიანად იქნება ლიკვიდირებული უმუშევრობა, პროსტიტუციასაც ბოლო მოეღებაო. დიდი ხანია უმუშევრობა წარსულს ჩაბარდა, ჩვენ კი, სამწუხაროდ, ვრწმუნდებით, რომ მარტო ეს არ ყოფილა მთავარი. ეტყობა, პროსტიტუცია ამა თუ იმ ფორმით მანამდე იარსებებს, სანამ ზნეობრივი კანონების აღსრულება თითოეული ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად არ იქცევა.

მოდით, საგნებს თავისი სახელი ვუწოდოთ: პროსტიტუციის ზრდა, რაც ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლო წლების მანძილზე შეიმჩნევა, საერთო ზნეობრივი დაქვეითების, სოციალური სამართლიანობის პრინციპების რღვევისა და სიტყვისა და საქმის დაშორიშორების უშუალო შედეგია. პერსპექტივის თვალსაზრისით ჩვენს საზოგადოებაში დაწყებული გარდაქმნების არსი ის არის, როგორც ერთ-ერთ თავის გამოსვლაში თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ა. იაკოვლევმა, რომ ყველგან და ყველაფერში აღვადგინონი ამ შემთხვევაში აუცილებლად მკაცრი უნდა იყოს, მაგრამ ოდნავადაც ჩვენი, განსაკუთრებით ჟურნალისტების, მოქმედება არ უნდა გასცდეს იმ ზღვარს, იმ კეთილშობილებას, რომელიც ცივილიზებულ ადამიანთა ურთიერთობის ნორმაა.

დიახ, ვენერიული ხენის, მათ შორის შიდსის (რომლის შემზარაობა ჩვენ ჯერ კიდევ მთლად შეგნებულიც კი არა გვაქვს) ძირითადი წყაროა პროსტიტუცია. მაგრამ არც სიფილისი, არც შიდსი შავი ჭირი თუ კეთრი არ არის. შავი ჭირის მსხვერპლთა გვამებს წვავდნენ, კეთროვანთ ლეპროზორიუმებში ამწყვდევდნენ იმის შიშით, რომ ეს სენი გადამდები იყო ავადმყოფის ნივთებით, თვით ამონასუნთქი ჰაერითაც კი. ვენერიული ავადმყოფობა კი მარტო თქვენივე ნებით თუ შეგეყრებათ. ვინ არ იცის ეს? და მაინც თვითონ ყოფს ყულფში თავს. ცხოველური ყინი შიშზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება ხოლმე. მაგრამ ყინზე უძლიერესია უზნეობა. ადამიანის სხეულის ყიდვა — რა შეიძლება იყოს ამაზე ამაზრზენი? ეს უფრო ამაზრზენიც კია, ვიდრე მისი გაყიდვა!

გავიხსენოთ ა. ჩეხოვის მოთხრობა „ბნედა“, თუ როგორ მივიდა სამი სტუდენტი სოროსკიპში. ერთი მათგანი, რომელიც სინდისმა დაქენჯნა, ასე ფიქრობს თავის მეგობრებზე — ექიმზე და მხატვარზე: „ორიდან ერთი: ან გვეჩვენება, თითქოს პროსტიტუციის ბოროტება იყოს, ან ვაზვიადებთ, ან, თუ პროსტიტუცია მართლაც ისეთი დიდი ბოროტებაა, როგორც ყველა ფიქრობს, მაშინ ჩემი მეგობრები ისეთივე მონათმფლობელნი, მოძალადენი, მკვლელები არიან... რა შუაშია აქ ჰუმანურობა, მედიცინა, მხატვრობა?“.

რაკი გულახდილად დავიწყეთ ლაპარაკი, ბოლომდე გულახდილნი დავრჩეთ. ვინ არიან მეძავები? ხომ ნახეთ ეკრანზე, ხომ მოუსმინეთ. უკულტიუოონი, გონებრივად ჩამორჩენილნი, ზნეობრივად მერყეევნი და ამიტომ იოლად ფულის შოვნას დახარბებულნი. მაგრამ ვინ ყიდულობს მათს სიყვარულს? თუმცა, მომიტევეთ, სხეიგვარად, უნდა მეთქვა. სიყვარულს კი არა, სხეულს! თანაც ჭუჭყიან სხეულს. თუ გახსოვთ, ერთ მეძავს აამბობინეს, რომ ორ კაცთან ჰქონდა ურთიერთობა, რომლებმაც სასტუმროში მიიყვანეს. ჯერ — ერთთან, მერე — მეორესთან. ჩვენ ხომ ბავშვები არა ვართ, ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რას ნიშნავს ეს, უწინარეს ყოვლისა, ჰიგიენური და ესთეტიკური თვალსაზრისით. მაშ, ვინ ყოფილან ეს ორნი?

„სიფილისიო, გონორეაო“, — ამბობთ თქვენ. მაგრამ, ჯერ ერთი, არც ერთი მეძავი არ დაბადებულა მეძავად და, მეორე, არც ერთი მათგანი არ იწყებს გარყვნილ ცხოვრებას იმთავითვე ავადმყოფი. როგორც სტატისტიკა ამბობს, მეძავს თავისი „საქმიანობის“ მეორე-მესამე წელს შეეყრება ხოლმე ავადმყოფობა. და, ყველამ კარგად იცის, რომ არა სხვა მეძავისაგან, არამედ იმთგან, ვინც იგი იყიდა.

იმასაც ჩავუფიქრდეთ, რაც ასე გულწრფელად და ჭირისუფლური სულისკვეთებით ამ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ტელევიზიითვე გვითხრა, რატომ არის საქართველო ვენერიულ დაავადებათა მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზე, რატომ გადაჭარბა თითქმის სამჯერ საშუალო საკავშირო ღონეს? მაგრამ ეს ციფრიც მიახლოებულია. ალბათ უფრო შემცირებულია. ხომ ვიცით, რომ ბევრი ავადმყოფი ჩუმად, შინ, ზოგჯერ კი შინაურული წამლებითაც მკურნალობს, რაც კიდევ უფრო ართულებს ავადმყოფობას.

ადრე ჩვენ პირველები ვიყავით სხვა რამეებში, მაგალითად, სულიერი ცხოვრების თუ სპორტის ბევრ სფეროში. არ ვამბობ, რომ ყველგან და ყველაფერში ჩამოვრჩით, პირიქით, ბევრი რამ გვქონდა და გვაქვს საამაყო. ძალიან ბევრი რამ. მაგრამ თავის დროზე ზნეობრივი დაცემის შედეგები იმითაც აისახა, რომ ახლა უფრო გვაფიქრებს ის, რომ მეტი ვენერიული სენით დაავადებული გვყავს. სამწუხაროა ეს. იმისათვის, რომ მსოფლიო ჩემპიონნი, საერთოდ გამორჩეული, თუნდაც რეგიონი სპეციალისტი დადგე, დიდი და მუყაითი შრომაა საჭირო. მაგრამ, რაც უფრო მატულობს უშრომელი შემოსავალი, მით უფრო ნაკლებ პატივშია შრომა. იქ, სადაც პატიოსან შრომას პატივი არა აქვს, პატივშია გარყვნილება და უზნეობა. ვის შეუძლია ასი მანეთი გადააგდოს ნახევარი საათის „სიამოვნებისთვის?“ მხოლოდ იმას, ვისაც ეს ფული მუქთად აქვს ნაშოვნი.

ვამთავრებ რა ამ ნაღვლიან წერილს, მინდა მივმართო ჩვენს ქალებს — დედებს, დებსა და ცოლებს. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ იხსნათ დაღუპვისაგან თქვენი ძმები, ქმრები, ვაჟიშვილები. ნუ დაეხარბებით დიდ ფულს, რომელიც მათ ოჯახში შემოაქვთ, თუ ეს ფული ოფლით არ არის მონაპოვარი. გახსოვდეთ: ამ ფულთან ერთად თქვენს ოჯახში შემოიპარება უბედურება, მათ შორის სიფილისიც, გონორეაც და მრავალი სხვაც... ჩვენი ერის მესაკის სიტყვის მნოსათვის არ უთქვამს: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“!

ვალერი ძაჯაია.

დიალოგი. ჯ. კასრაძის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ქართველ კომპოზიტორთა ქმნილებებს არაერთხელ ხვდომიათ წარმატება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხოეთში. ხვალ ქალაქ კემეროვოში კომპოზიტორთა კავშირის ვაგეგობის პლენუმზეც აუღერდება

ქართული მელოდიები

კომპოზიტორები ო. თაქთაქიშვილი, გ. ყანჩელი, ბ. კვერნაძე, მ. ბალანჩივაძე და გ. ჩლაიძე მსმენელთ წარუდგენიან კანტატებთ, სიმფონიებით, ორატორიებით, სიმფონიურ-ეპიანო კონცერტებით.

▼▼

საუკუნეთა სიღრმეში გაუდგამს ფესვები ქართველ და უკრაინელ ხალხთა მეგობრობას, რომელიც ჩვენი ცხოვრების არაერთ სფეროში ნიადაგ ვლინდება. გუშინ დაბა სურამში მეშვიდედ გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაული

„ლესიაობა“

ზეიმში მონაწილეობდნენ ხაშურის, სურამის, ახლომახლო სოფლების მშრომელები და ქართველი საზოგადოებრობის წარმომადგენელები, აგრეთვე დიდი უკრაინელი მწერალი ქალის მშობლიურ ქალაქ ციტომირიდან და დავთი გურამიშვილის მეორე სამშობლოდან — მირგოროდიდან ჩამოსული სტუმრები, უკრაინელი მწერლები.

„ლესიაობა“ ქალბატის ეროვნული კულტურის კლუბში გამართული ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოთი დასრულდა.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების, საკადესისა და საქინფორმის მასალები ამ რუბრიკისათვის მოამზადა გ. ხარებავილამ.

ფორეს მუზეუმი იტალიაში

ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ ბელჯირატეში, არის ერთი ქმათა სასაფლაო-მემორიალი, რომელიც ყველა მშვიდობისმოყვარე იტალიელისთვის უწმინდესი ადგილია. აქ თავის თანამებრძოლებთან ერთად განისვენებს ფორე მოსულიშვილი — ქართველი ვაჟკაცი, იტალიის ეროვნული გმირი. მის სახელს მუდამ პატივით მოახსენებს ქართველიც და იტალიელიც.

იტალიის მიწაში განისვენებს ასობით უცხოელი, რომლებმაც ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში ადგილობრივი წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე პარტიზანებთან ერთად თავდადებით იბრძოლეს ამ ქედუნარელი ქვეყნისა და ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. იტალიელმა ხალხმა, რესპუბლიკამ დააფასა მათი ღვაწლი, და ბევრი მათგანის თავდადება მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით აღინიშნა, ხოლო ორ მათგანს, ორ საბჭოთა ჯარისკაცს, მათ შორის ქართველ ვაჟკაცს — ფორე მოსულიშვილს იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდება მიანიჭა. ფორე მოსულიშვილმა მარადიული მეგობრობის ხიდი გასდო საქართველოსა და იტალიას შორის.

ქართველი პარტიზანის თანამებრძოლებმა, მადლიერმა იტალიის რესპუბლიკამ პატივი მიაგეს თავიანთი ეროვნული გმირის ხსოვნას და **დღეს, ქალაქ ბელჯირატეში, საზეიმოდ გაიხსნება ფორე მოსულიშვილის მუზეუმი.**

გაგაცნობთ მუზეუმის შექმნის ამბავს: „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, რომ იტალელი გმირის საქმიანობით დაინტერესდნენ ქართველი მწერლები, ჟურნალისტები და ხელოვნების მოღვაწენი. მწერალმა აწ განსვენებულმა გიორგი მდივანმა, მწერალმა და რეჟისორმა რეზო თბაუკაშვილმა, ჟურნალისტებმა ვახტანგ ესვანჯიამ, ედუარდ სიხარულიძემ დიდი ამაგი დასდეს სახელოვან თანამემამულეს, რომდენჯერმე იყვნენ იტალიაში, მისი საფლავი შეამკეს საქართველოდან ჩატანილი ძეგლით, ჭედური ღობით, პრესაში გამოაქვეყნეს ვრცელი წერილები, დასტამბეს წიგნები, გამოუშვეს კინოფილმები. ამან კიდევ უფრო განამტკიცა ორი ხალხის ურთიერთობა.

იტალიის დელეგაციებიც მრავალგზის ესტუმრნენ საქართველოს, ფორეს მშობლიურ ჩაიოს, სოფელს, მუხლი მოიყარეს და თაყვანი სცეს შინმოუსვლელი ქაბუკის დედას... ახლა კი თავიანთი ყოფის მინისტრისა და „კომუნისტის“ მკითხველთა უშუალო, პირდაპირი სატელეფონო სჯა-ბაასის ძირითადი თემა იქნება.

რასაკვირველია, მკითხველებს შეუძლიათ მინისტრს მისცენ მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზეც ნებისმიერი შეკითხვა, გამოთქვან თავიანთი შენიშვნები, წინადადებანი, მოსაზრებანი, სურვილები, პრეტენზიები და კრიტიკული შენიშვნები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ადგილობრივი ორგანოების, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების, პენსიონატების, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების, საპროთეზო-ორთოპედიული ქარხნისა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა მუშაობის შესახებ.

ვისაც ტელეფონით დაკავშირების საშუალება არ გექნებათ, შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ წერილობითი შეკითხვა, რომელზეც მინისტრი პასუხს გაზეთის მეშვეობით გაგცემთ.

გთხოვთ, შეკითხვები რაც შეიძლება კონკრეტული და ლაკონიური იყოს. სასურველია, გვაცნობოთ თქვენი ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომ მინისტრმა წერილობითი გაპასუხოთ, თუ თქვენს შეკითხვაზე პასუხის გაცემას შესწავლა და დრო დასჭირდება.

მაშ ასე, 25 სექტემბერს, 16 საათიდან ველით თქვენს ზარს — შეკითხვებს, მოსაზრებებს, შენიშვნებს, პრეტენზიებს, სურვილებსა და წინადადებებს.

სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი თქვენს დარეკვას ელის რედაქციაში ამ ნომრებით: 93-35-99; 93-26-99;

ფორეს მუზეუმი იტალიაში

ეჰეკითხეთ მინისტრს!

პარასკევს, 25 სექტემბერს, 16 საათზე გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებთან მორიგი პირდაპირი სატელეფონო კავშირი ექნება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს ამხ. კარლო ბერდაფხაძეს.

„კომუნისტის“ მკითხველებს საშუალება გექნებათ უშუალოდ ესაუბროთ ჩვენს რედაქციაში მოწვეულ მინისტრს.

პატივცემულო ამხანაგებო! პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენში მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ვრცელი პროგრამა ხორციელდება.

ამასთან ერთად შეუმჩნეველი როდია ამ დარგში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები მარტივი საკითხების გადაწყვეტის გაჭიანურების, განცხადებებისა და საჩივრების უყურადღებოდ და დაგვიანებით განხილვის ფაქტები. ამაზე მეტყველებს რედაქციაში მიღებული არაერთი წერილი.

რა კეთდება სამინისტროს აპარატის და მთლიანად სისტემის მუშაობის გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის? შრომისა და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, მარტოხელა შრომისუნარიან მოქალაქეთა, ბავშვობიდან ინვალიდთა, მრავალშვილიან დედათა და მარტოხელა ქალთა საპენსიო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის? რა შეღავათებით სარგებლობენ სამამულო ომის ინვალიდები, მონაწილენი და დაუპურელ მებრძოლთა ოჯახები? როგორია მომუშავე პენსიონერებისთვის პენსიის მიცემის წესი? როდის შეიძლება დანიშნოს პენსია არასრული სტაჟით? რა ცვლილებებია მოსალოდნელი საპენსიო კანონმდებლობაში?

ვფიქრობთ, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ესა და სხვა საკითხები სოციალური უზრუნველ-

ტურნირი ■ მატჩი ■ შედეგი

მხატვრული ტანვარჯიში. ბულგარეთის ქალაქ ვარნაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მედლების კომპლექტი გთამაშდა ჭაბუფურ ვარჯიშებში. ამ სახეობაში უძლიერესის წოდება მოიპოვა ბულგარეთის ნაკრებმა, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი (40) დააგროვა. აღსანიშნავია, რომ ბულგარელებმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონთა ტიტული. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს. მათი საბოლოო შეფასება 39,2 ქულით გამოიხატა. მესამე ადგილი გაინაწილეს ესპანეთისა და ჩინეთის ნაკრებმა (კოლექტივებმა — 38, 65-38, 65 ქულა.

ჩოგბურთი. რეიბურგში (გფრ) გრძელდება 16 წლამდე ჩოგბურთელთა მსოფლიო თასის გათამაშება, რომელშიც წარმატებით გამოდის საბჭოთა კავშირის გოგონათა ნაკრები. ჩვენმა სპორტსმენებმა მორიგი შეხვედრა ბულგარელებს მოუგეს (3:0) და ნახევარფინალში გავიდნენ.

ბადრაკი. ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გრძელდება ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. მესამე ტურში ანდერსონ (შვეცია)-იუსუპოვისა და ნიკოლიჩ-ლუბოეევიჩის (ორივე — იუგოსლავია) პარტიები ყაიმით დასრულდა, ტიმანმა (ჰოლანდია) დაამარცხა სოკოლოვი, ჰიუბნერმა (გფრ) — კორჩნოი (შვეიცარია). სამი ტურის შემდეგ იუსუპოვს, ტიმანს და ჰიუბნერს 2-2 ქულა აქვთ, ანდერსონს და ნიკოლიჩს — თითო ქულა და თითო გადადებული პარტია, სოკოლოვს და ლუბოეევიჩს — თითო ქულა. კორჩნოის კი ჯერ ნახევარი ქულაც არა აქვს, მაგრამ მას 2 გადადებული პარტიის დამთავრება უწევს.

ველოსპორტი. სამხრეთ კორეის ქალაქ სეულში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე კლიპედელმა გინტაუტას უმარასმა 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.31,160.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

ა. კარპოვი: მოგების იმედი მაქვს

შესაძლოა არც ერთი მსოფლიო ჩემპიონი არ თამაშობდა იმდენს, რამდენსაც ანატოლი კარპოვი. გავიხსენოთ მისი ბოლოდ წლევანდელი გამოსვლები: ანდრეი სოკოლოვთან ე. წ. „სუპერფინალურ მატჩს“ მოაყვა დიდოსტატების ტურნირი ბრიუსელში. შემდეგ მსოფლიო ექსჩემპიონმა აქვე დიდ ელვისებურ შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა. მაისში კარპოვი მსოფლიო ექსჩემპიონ მაქს ეიუეს მემორიალში თამაშობდა, იგნის-იგლისში — ბილბაოს საერთაშორისო ტურნირში. მსოფლიო ექსჩემპიონი, კარპოვის პირველი მასწავლებელი მიხეილ ბოტვინიკი ამას ძალების ზედმეტ ხარჯად თვლის, თვით კარპოვს კი ტურნირებში სისტემატურად მონაწილეობა აუცილებლად მიაჩნია, თუ ვინ არის მართალი, ეტყობა, მხოლოდ კასპაროვ-კარპოვის მორიგი, ბოოთხე მატჩის დამთავრების შემდეგ გამოირკვევა.

როცა კარპოვმა ბილბაოს ტურნირში გაიმარჯვა, მას ტელეფონით დაუკავშირდა ცნობილი მიმომხილველი დიმიტრიე ბელიცა. ეს იუგოსლავი ჟურნალისტი კარპოვის „ბანაკში“ შინაური კაცია — შაშებს ლონდონსა და ლენინგრადში მისი პრეს-ატაშე იყო.

თქვენ დაათვალიერეთ სევილია, სადაც ოქტომბერში მატჩი უნდა ითამაშოთ?...

ვიყავი სატურნირო შენობაში. თამაშის ჩინებული პირობებია. სცენა ძალიან კარგია, ისევე როგორც ლონდონსა და ლენინგრადში, სცენის გვერდით ოთახებია, სადაც მონაწილეებს დასვენება შეუძლიათ.

თქვენ ესპანეთში ყოველთვის კარგად თამაშობთ...

— დიახ. კმაყოფილი ვარ, რომ მატჩი სევილიაში დანიშნეს, თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მე პირველ ადგილზე დუბაის (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ვაყენებდი.

თქვენ სისტემატურად თამაშობთ ტურნირებში, კასპაროვმა კი განაცხადა, რომ მატჩამდე არ აპირებს რაიმე შეჯიბრებაში მონაწილეობას.

— ყველა თავისი გეგმით ეძზადება. მე ვაპირებ ოდესაში მოვემზადო. რომშიც მომიხდება რამდენიმე დღით წასვლა. ბულგარეთსაც ვეწვევი, მაგრამ არ ვითამაშებ.

რას ელით კასპაროვთან მეოთხე მატჩში?

— გულახდილად ვეტყვით, მოგების იმედი მაქვს. ამ მატჩში მე არაფერს ვკარგავ. დაწვრილებით გავარჩიე ჩვენი ადრინდელი მატჩების პარტიები და დავარწმუნდი, რომ კასპაროვი ურისკოდ თამაშობდა. მისი სეკუნდანტები აცხადებდნენ, რომ გვხვდებოდა ისეთი პარტიებიც, სადაც ყველაფერი თავიდან ბოლომდე ზედმიწევნით ჰქონდათ შესწავლილი, ეს პარტიები საშინაო ანალიზის მიხედვით ვითარდებოდა.

ამას წინათ სპასკიმ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ელის თქვენს მოგებას. კასპაროვს გაუთავებელი პოლემიკა აქვს და ამაში დიდ ძალებს ხარჯავსო.

— შესაძლოა ეს პოლემიკაც მისი სამატჩო მზადების გეგმაში შედის.

* * *

ერთი სიტყვით, მეტოქეები ახლა ინტენსიურად ემზადებიან. 100 პარტიის შემდეგ კასპაროვი სულ ერთი ქულით არის წინ. ასეთ შემთხვევაში სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობა ცხადია, ბევრ არაფერს მოგვცემს და ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მატჩისწინა სიტუაციას.

გ. გამრეკელი.

შეხვედრა პრეტენდენტებთან

26 სექტემბერს, 16 საათზე თბილისის ჭადრაკის სასახლის საპატო დარბაზში ქადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის რექტორატი უნივერსიტეტის მსმენელებისა და მოყვარულებისათვის აწყობს პრესკონფერენციას ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მომავალი ასპარეზობის მონაწილეებთან — ნ. გაფრინდაშვილთან, ნ. ალექსანდრიასთან, ნ. იოსელიანთან, ე. ახმილოვსკაიასთან, ჟ. არაბამიასთან და მსოფლიო ჩემპიონის გ. კასპაროვის მწვრთნელ ზ. აზმაიფარაშვილთან.

პრესკონფერენციის შემდეგ და 27 სექტემბერს დილის 10 საათიდან მოიწყობა ინდივიდუალური გასაუბრება უნივერსიტეტის მსმენელებთან ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულს დიპლომების გაცემასთან დაკავშირებით.

ბოსკოვი

20 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 6.00 — „90 წუთი“. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — „სპორტლოტო“. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვიმსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — კინოაფიშა. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.45 — უკუკავშირი. „მე-12 სართულის“ პროგრამის სასკოლო გამოშვების შედეგები. 16.20 — ყაზახეთის სსრ. ხელოვნების ოსტატთა და შემოქმედი ახალგაზრდობის კონცერტი ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში. 18.15 — ტელეჟურნალი „ჩვენი სახლი“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმი. 19.55 — ფილმ-კონცერტი „გეპატიჟებათ გალინა პისარენკო“. 21.00 — ფეხბურთი. კიევის „დინამო“ — „სპარტაკი“. მე-2 ტაიმი. 21.45 — უკრაინ. მ. როკოვი (ბალალაიკა) და ი. ჩერნოვი (გიტარა). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — მხატვრული ტანვარჯიში. 23.15 — საფეხბურთო მიმოხილვა. 24.00 — კალათბურთი. საკონტინენტთაშორისო თასი. ფინალი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ტყის მუშაკთა დღისათვის. დოკუმენტური ტელეფილმი „მუხნარი“. 9.45 — მხატვრული ფილმი „ზეები ასფალტზე“. 11.05 — დ. შოსტაკოვიჩი. სონატა ალტისა და ფორტეპიანოსათვის. 11.45 — რუსული მეტყველება. 12.15 — უკრაინის ტელევიზიის პროგრამა. 13.10 — მხატვრული ტანვარჯიში. 14.10 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 14.45 — ლატვიის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფილმ-სპექტაკლი „ცენტრფუგა“. 16.30 — მხატვრული ტანვარჯიში. 17.15 — მულტფილმი. 17.35 — „ცისარტყელა“. „ხალხის ხელოვნება“ (ლიბია). 18.00 — სპორტული პროგრამა. მხატვრული ტანვარჯიში. კალათბურთი. ფეხბურთი. კიევის „დინამო“ — „სპარტაკი“. პირველი ტაიმი. (დასაწყისი 20.00). 21.00 „ძილი ნებისა, პატარებო“!. 21.15 — რეკლამა. 21.20 — დოკუმენტური ტელეფილმები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — მხატვრული ფილმი „გადატრიალება 107-ე ინსტრუქციით“.

ობოლიში

20 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დილა მშვიდობისას! საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — ხალხური შემოქმედება, კონცერტი. 12.45 — საკვირაო გამოფენა. 6. ფალავანდიშვილი. 12.50 — „მობურთალსა მოედანი“. 13.20 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმებიანი კვარტეტის კონცერტი. 13.55 — საკვირაო გამოფენა. 6. ფალავანდიშვილი. 14.00 — მულტიპანორამა. 15.05 — ვესტნიკი. 15.35 — საკვირაო გამოფენა. 6. ფალავანდიშვილი. 15.45 — „ქედელი მეტყველები“ (ეძღვნება ტყის მუშა